კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

№ 71 (5471) | სამშაბათი, 28 მარტი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

პარტია თავისი წევრებისაგან მოითხოვს აქტიურ და თავდადებულ მუშაობას პარტიის პროგრამისა და წესდების განსახორციელებლად, პარტიისა და მისი ორგანოების ყველა გადაწყვეტილების შესასრულებლად, პარტიის რიგების ერთიანობის უზრუნველსაყოფად და ძმური, ინტერნაციონალური ურთიერთობის განსამტკიცებლად როგორც სსრ კავშირის ეროვნებათა მშრომელებს შორის, ისე მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროლეტარებთან.

საკავშირო კომუნისტური პატიის (ბოლშევიკების) წესდებიდან

წესდება
საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკებისა)
კომუნისტური ინტერნაციონალის სექცია
(მიღებულია ერთხმად საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ)

საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის სექციას წარმოადგენს, არის სსრ კავშირის მუშათა კლასის მოწინავე, ორგანიზებული რაზმი, მისი კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა. პარტია თავის მუშაობაში მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით ხელმძღვანელობს.

პარტია ახორციელებს მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, — მთელი საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელობას მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცებისათვის, სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

პარტია წარმოადგენს მშრომელთა ყველა ორგანიზაციის, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის, ხელმძღვანელ ბირთვს და უზრუნველჰყოფს კომუნისტური საზოგადოების წარმატებით აშენებას.

პარტია წარმოადგენს ერთიან მებრძოლ ორგანიზაციას, შეკავშირებულს შეგნებული დისციპლინით, რომელიც ერთნაირად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის. პარტია ძლიერია თავისი შემჭიდროებით, ნებისყოფის ერთიანობით, მოქმედების ერთიანობით, რაც შეუთავსებელია პროგრამისა და წესდებისაგან გადახვევასთან, პარტიული დისციპლინის დარღვევასთან, ფრაქციულ დაჯგუფებებთან, ორგულობასთან. პარტია სწმენდს თავის რიგებს იმ პირებისაგან, რომლებიც არღვევენ პარტიის პროგრამას, პარტიის წესდებას, პარტიის დისციპლინას.

პარტია თავისი წევრებისაგან მოითხოვს აქტიურ და თავდადებულ მუშაობას პარტიის პროგრამისა და წესდების განსახორციელებლად, პარტიისა და მისი ორგანოების ყველა გადაწყვეტილების შესასრულებლად, პარტიის რიგების ერთიანობის უზრუნველსაყოფად და ძმური, ინტერნაციონალური ურთიერთობის განსამტკიცებლად როგორც სსრ კავშირის ეროვნებათა მშრომელებს შორის, ისე მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროლეტარებთან.

I.
პარტიის წევრები, მათი მოვალეობანი და უფლებანი

1. პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს პარტიის პროგრამას, მუშაობს მის ერთერთ ორგანიზაციაში, ემორჩილება პარტიის დადგენილებებს და იხდის საწევრო შესატანს.

2. პარტიის წევრი ვალდებულია:

ა) დაუღალავად მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად;

ბ) უსასტიკესად იცავდეს პარტიულ დისციპლინას, აქტიურად იღებდეს მონაწილეობას პარტიისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, პრაქტიკაში ატარებდეს პარტიის პოლიტიკას და პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებს;

გ) იყოს შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვის ნიმუში, ეუფლებოდეს თავისი საქმის ტექნიკას, განუწყვეტლივ ამაღლებდეს თავის საწარმოო, საქმიან კვალიფიკაციას;

დ) ყოველდღიურად ამტკიცებდეს კავშირს მასებთან, თავის დროზე ეხმაურებოდეს მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, განუმარტავდეს უპარტიო მასებს პარტიის პოლიტიკასა და გადაწყვეტილებათა აზრს.

3. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს პარტიული პოლიტიკის პრაქტიკული საკითხების თავისუფალ და საქმიან განხილვაში პარტიულ კრებებზე ან პარტიულ პრესაში;

ბ) გააკრიტიკოს პარტიულ კრებებზე პარტიის ყოველი მუშაკი;

გ) აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიულ ორგანოებში;

დ) მოითხოვოს პირადი მონაწილეობა ყველა შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება გამოაქვთ მისი საქმიანობისა ან საქციელის შესახებ;

ე) მიმართოს ყოველგვარი შეკითხვით და განცხადებით ყოველ პარტიულ ინსტანციას, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსაც კი.

4. პარტიის წევრად მიღება ხდება მხოლოდდამხოლოდ ინდივიდუალური წესით. ახალი წევრები მიიღებიან იმ კანდიდატთა რიცხვიდან, რომელთაც გაუვლიათ დაწესებული საკანდიდატო სტაჟი. პარტიის წევრად მიიღებიან შეგნებული, აქტიური და კომუნიზმის საქმის ერთგული მუშები, გლეხები და ინტელიგენტები.

პარტიაში მიიღებიან ის პირები, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ.

კანდიდატობიდან პარტიის წევრად მიღების წესი:

ა) პარტიის წევრებად შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ რეკომენდაციები პარტიის სამი წევრისა, რომელთაც აქვთ პარტიული სტაჟი არანაკლებ სამი წლისა და რომლებიც ერთი წლის ერთად მუშაობით მაინც იცნობენ მათ.

შენიშვნა პირველი. კომკავშირიდან პარტიის წევრად მიღებისას საკ. ალკკ რაიონული კომიტეტის რეკომენდაცია უდრის პარტიის ერთი წევრის რეკომენდაციას.

შენიშვნა მეორე. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები თავს იკავებენ რეკომენდაციების მიცემისაგან.

ბ) პარტიაში მიღების საკითხს იხილავს და სწყვეტს პირველადი პარტორგანიზაციის საერთო კრება, რომლის გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს რაიკომი, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც რაიონული დაყოფა არ არის, — პარტიის საქალაქო კომიტეტი.

პარტიაში მიღების საკითხის განხილვის დროს რეკომენდაციის მიმცემთა დასწრება სავალდებულო არ არის.

გ) ახალგაზრდობა 20 წლის ასაკამდე ჩათვლით პარტიაში შედის მხოლოდ საკ. ალკკ საშუალებით;

დ) სხვა პარტიებიდან გამოსულნი პარტიის წევრებად მიიღებიან განსაკუთრებულ შემთხვევებში და პარტიის ხუთი წევრის რეკომენდაციით: სამისა — ათი წლის პარტიული სტაჟით და ორისა — რევოლუციამდელი პარტსტაჟით, — მხოლოდდამხოლოდ პირველადი პარტიული ორგანიზაციის საშუალებით და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სავალდებულო დამტკიცებით.

5. რეკომენდაციის მიმცემნი პასუხისმგებელი არიან თავიანთი რეკომენდაციების კეთილხარისხოვნობისათვის.

6. კანდიდატობიდან პარტიის წევრად მისაღებთა პარტსტაჟი ითვლება იმ დღიდან, როცა სათანადო პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება გამოიტანს დადგენილებას ამათუიმ ამხანაგის პარტიის წევრად დამტკიცების შესახებ.

7. ერთი ორგანიზაციის ყოველი წევრი მეორე ორგანიზაციის სამუშაო რაიონში გადასვლის დროს უკანასკნელის მიერ ჩაირიცხება თავის წევრთა რიცხვში.

შენიშვნა: პარტიის წევრთა გადასვლა ერთი ორგანიზაციიდან მეორეში ხდება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ დადგენილი წესების თანახმად.

8. პარტიის ის წევრები და კანდიდატები, რომელთაც სამი თვის განმავლობაში საპატიო მიზეზების უქონლად არ გადაუხდიათ საწევრო შესატანი, ითვლებიან პარტიიდან გასულად, რაზედაც პირველადს პარტიულ ორგანიზაციას გამოაქვს სათანადო გადაწყვეტილება, რომელსაც პარტიის რაიკომი ან ქალაქკომი ამტკიცებს.

9. პარტიიდან ვისიმე გარიცხვის საკითხს სწყვეტს იმ პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება, რომლის წევრადაც ითვლება გასარიცხავი პირი, და ამტკიცებს პარტიის რაიონული ან საქალაქო კომიტეტი. რაიონული ან საქალაქო კომიტეტის გადაწყვეტილება პარტიიდან გარიცხვის შესახებ ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დამტკიცებულია პარტიის საოლქო კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ.

10. ვიდრე საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაამტკიცებდეს გადაწყვეტილებას პარტიიდან გარიცხვის შესახებ, პარტიული ბილეთი პარტიის წევრს ხელზე რჩება, და მას უფლება აქვს დაესწროს დახურულ პარტიულ კრებებს.

პარტიის გარიცხულ წევრთა შესახებ საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აქვეყნებს ადგილობრივ პარტიულ პრესაში გარიცხვის მიზეზის აღნიშვნით, აგრეთვე აქვეყნებს უმართებულოდ გარიცხულთა აღდგენის შესახებ.

11. პარტიიდან გარიცხვის ან გარიცხული პირის პარტიის წევრის უფლებებში აღდგენის საკითხის გადაჭრის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნას მაქსიმალური სიფრთხილე, ამხანაგური მზრუნველობა და გულდასმით გარჩევა იმისა, თუ რამდენად დასაბუთებულია პარტიის წევრისათვის წაყენებული ბრალდებანი.

მცირე დანაშაულისათვის (კრებაზე გამოუცხადებლობა, საწევრო შესატანის დანიშნულ ვადაზე გადაუხდელობა და სხვ.) გამოყენებულ უნდა იქნას პარტიული აღზრდისა და ზეგავლენის ზომები, რაც გათვალისწინებულია წესდებით, და არა პარტიიდან გარიცხვა, რაც პარტიული სასჯელის უმაღლეს ზომას წარმოადგენს.

12. პარტიიდან გარიცხულთა აპელაციები განხილულ უნდა იქნას სათანადო პარტიული ორგანოების მიერ არაუგვიანეს ორი კვირის ვადისა მათი შემოსვლის დღიდან.

II.
პარტიის წევრობის კანდიდატები

13. ყველა პირი, ვისაც პარტიაში შესვლა სურს, გადის საკანდიდატო სტაჟს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კანდიდატი გაეცნოს პარტიის პროგრამას, წესდებას, ტაქტიკას და უზრუნველყოფილ იქნას კანდიდატის პირადი თვისებების შემოწმება პარტორგანიზაციის მიერ.

14. კანდიდატად მიღების წესი (ინდივიდუალური მიღება, რეკომენდაციების წარდგენა და მათი შემოწმება, პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილება მიღების შესახებ და მისი დამტკიცება) სავსებით იგივეა, რაც პარტიის წევრად მიღების დროს.

15. საკანდიდატო სტაჟი წესდება ერთი წელი.

16. პარტიის წევრობის კანდიდატები მონაწილეობას იღებენ სათათბირო ხმის უფლებით იმ ორგანიზაციის კრებებზე, რომელშიაც ისინი ირიცხებიან.

17. პარტიის წევრობის კანდიდატები იხდიან ჩვეულებრივს საწევრო შესატანს ადგილობრივი პარტიული კომიტეტის სალაროში.

III.
პარტიის წყობა, შინაპარტიული დემოკრატია

18. პარტიის ორგანიზაციული წყობის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც ნიშნავს:

ა) პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობას თავიდან ბოლომდე;

ბ) პარტიული ორგანოების პერიოდულ ანგარიშგებას თავისი პარტიული ორგანიზაციების წინაშე;

გ) მტკიცე პარტიულ დისციპლინას და უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებას;

დ) უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებათა აუცილებელ სავალდებულობას ქვედა ორგანოებისათვის.

19. პარტია შენდება ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნის მიხედვით: პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მომსახურებას უწევს რომელიმე რაიონს, უმაღლეს ორგანიზაციად ითვლება ყველა იმ პარტიული ორგანიზაციის მიმართ, რომელიც მომსახურებას უწევს ამ რაიონის ნაწილებს, ანუ პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მომსახურებას უწევს მუშაობის მთელ დარგს, უმაღლეს ორგანიზაციად ითვლება ყველა იმ პარტიული ორგანიზაციის მიმართ, რომელიც მომსახურებას უწევს მუშაობის ამ დარგის ნაწილებს.

20. ყველა პარტიული ორგანიზაცია ავტონომიურია ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში, რამდენადაც ეს გადაწყვეტილებანი არ ეწინააღმდეგებიან პარტიის გადაწყვეტილებებს.

21. თვითეული პარტიული ორგანიზაციის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება (პირველადი ორგანიზაციებისათვის), კონფერენცია (მაგალითად, რაიონული, საოლქო ორგანიზაციებისათვის), ყრილობა (მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიებისათვის, საკ. კ. პ. (ბ)-სათვის).

22. საერთო კრება, კონფერენცია ან ყრილობა ირჩევს ბიუროს ან კომიტეტს, რომლებიც მათს აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენენ და ხელმძღვანელობას უწევენ ორგანიზაციის მთელ მიმდინარე მუშაობას.

23. პარტიული ორგანოების არჩევნების დროს აკრძალულია კენჭისყრა სიის მიხედვით. კენჭისყრა უნდა ხდებოდეს ცალკეული კანდიდატურების მიხედვით, ამასთან პარტიის ყველა წევრისათვის უზრუნველყოფილია განუსაზღვრელი უფლება—აცილება მისცეს კანდიდატებს და გააკრიტიკოს ეს უკანასკნელნი. არჩევნები ხდება კანდიდატებისათვის დახურული (ფარული) კენჭისყრით.

24. ყველა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო ცენტრში, აგრეთვე ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრში პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა განსახილველად მოიწვევიან საქალაქო პარტიული ორგანიზაციების აქტივები, ამასთან აქტივების მოწვევა უნდა ხდებოდეს არა პარადისა და ამ გადაწყვეტილებათა ფორმალურ-საზეიმო მოწონებისათვის, არამედ მათი ნამდვილი განხილვისათვის.

დიდ ცენტრებში უნდა იწვეოდეს არა მარტო საქალაქო, არამედ რაიონული პარტიული აქტივებიც.

25. პარტიული პოლიტიკის საკითხების თავისუფალი და საქმიანი განხილვა ცალკეულ ორგანიზაციებსა თუ მთლიანად პარტიაში, წარმოადგენს პარტიის თვითეული წევრის განუყოფელ უფლებას, რომელიც გამომდინარეობს შინაპარტიული დემოკრატიიდან. მხოლოდ შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე შეიძლება გაშლილ იქნას ბოლშევიკური თვითკრიტიკა და განმტკიცებულ იქნას პარტიული დისციპლინა, რომელიც არა მექანიკური, არამედ შეგნებული უნდა იყოს. მაგრამ ფართო დისკუსია, განსაკუთრებით სრულიად-საკავშირო მასშტაბის დისკუსია პარტიული პოლიტიკის საკითხებზე, ისე უნდა ეწყობოდეს, რომ მას არ შეეძლოს გამოიწვიოს უმნიშვნელო უმცირესობის ცდა—თავს მოახვიოს თავისი ნებასურვილი პარტიის დიდ უმრავლესობას, ან ცდა—შექმნას პარტიის ერთიანობის დამარღვეველი ფრაქციული დაჯგუფებანი, გათიშვის ცდა, რასაც შეუძლია შეარყიოს მუშათა კლასის დიქტატურის ძალა და სიმტკიცე. ამიტომ სრულიად-საკავშირო მასშტაბის ფართო დისკუსია შეიძლება საჭიროდ იქნას აღიარებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) ამ საჭიროებას აღიარებს საოლქო ან რესპუბლიკური მასშტაბის რამდენიმე ადგილობრივი პარტორგანიზაცია მაინც; ბ) თუ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შიგნით საკმაოდ მტკიცე უმრავლესობა არ არის პარტიული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში; გ) თუ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში იმ მტკიცე უმრავლესობის არსებობის მიუხედავად, რომელიც გარკვეულ თვალსაზრისზე დგას, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მაინც საჭიროდ სთვლის პარტიაში სადისკუსიო განხილვის გზით შეამოწმოს თავისი პოლიტიკის სისწორე. პარტია მხოლოდ ამ პირობათა შესრულების დროს შეიძლება გარანტირებულ იქნას იმისაგან, რომ შინაპარტიულ დემოკრატიას ბოროტად ვერ გამოიყენებენ ანტიპარტიული ელემენტები, მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ შინაპარტიული დემოკრატია საქმეს სარგებლობას მოუტანს და პარტიისა და მუშათა კლასის საზიანოდ არ იქნება გამოყენებული.

26. პარტიის ორგანიზაციის სქემა:

ა) პარტიისათვის მთლიანად — საკავშირო ყრილობა, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, საკავშირო კონფერენცია;

ბ) ოლქისათვის, მხარისათვის, მოკავშირე რესპუბლიკისათვის — საოლქო, სამხარეო კონფერენციები, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობები, საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები;

გ) ოკრუგისათვის — საოკრუგო კონფერენციები, საოკრუგო კომიტეტები;

დ) ქალაქისათვის, რაიონისათვის — საქალაქო, რაიონული კონფერენციები, საქალაქო, რაიონული კომიტეტები;

ე) საწარმოსათვის, სოფლისათვის, კოლმეურნეობისათვის, მტს-სათვის, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებისათვის, დაწესებულებათათვის — საერთო კრებები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კონფერენციები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროები.

27. პარტიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად პრაქტიკული მუშაობისათვის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში არსებობს შემდეგი სამმართველოები და განყოფილებები: ა) კადრების სამმართველო, ბ) პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველო, გ) საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება, დ) სასოფლო-სამეურნეო განყოფილება, ე) სასკოლო განყოფილება; საოკრუგო კომიტეტებში, საოლქო კომიტეტებში, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში: ა) კადრების განყოფილება, ბ) პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, გ) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება, დ) სასოფლო-სამეურნეო განყოფილება, ე) სამხედრო განყოფილება; პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში: ა) კადრების განყოფილება, ბ) პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, გ) საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება, დ) სამხედრო განყოფილება.

სამხედრო განყოფილების მოვალეობაა დახმარება აღმოუჩინოს სამხედრო ორგანოებს სამხედროვალდებულთა აღრიცხვის დაყენებისა, გაწვევის ორგანიზაციისა და ომის შემთხვევაში მობილიზაციის საქმეში, საჰაერო თავდაცვის ორგანიზაციის საქმეში და სხვ.

პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა და კადრების განყოფილებათა ხელმძღვანელობა საოლქო კომიტეტებში, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში განსაკუთრებულ მდივნებს უნდა დაეკისროს.

28. პარტიის თვითეულ ორგანიზაციას მისი საბოლოოდ დამტკიცების შემდეგ უფლება აქვს შეიძინოს თავისი ბეჭედი, მაგრამ მხოლოდდამხოლოდ სათანადო უმაღლესი პარტიული ორგანიზაციის სანქციით.

IV.
პარტიის უმაღლესი ორგანოები

29. საკ. კ. პ. (ბ) უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საკ. კ. პ. (ბ) ყრილობა. მორიგი ყრილობების მოწვევა ხდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. საგანგებო ყრილობებს იწვევს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი საკუთარი ინიციატივით ან იმ წევრთა საერთო რიცხვის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით, რომლებიც წარმოდგენილი არიან უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე. პარტიული ყრილობის მოწვევა და დღისწესრიგი ცხადდება არაუგვიანეს თვენახევრისა ყრილობამდე. საგანგებო ყრილობების მოწვევა ხდება ორი თვის ვადაში.

ყრილობა კანონიერად ითვლება, თუ მასზე წარმოდგენილია პარტიის უკანასკნელ მორიგ ყრილობაზე წარმოდგენილ წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე არა ნაკლები.

საკ. კ. პ. (ბ) ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

30. იმ შემთხვევაში, თუ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მე-29 მუხლში ნაჩვენებ ვადაში არ მოიწვია საგანგებო ყრილობა, იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც საგანგებო ყრილობის მოწვევა მოითხოვეს, უფლება აქვთ შეადგინონ საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც სარგებლობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უფლებებით საგანგებო საკ. კ. პ. (ბ) ყრილობის მოსაწვევად.

31. ყრილობა:

ა) ისმენს და ამტკიცებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური სარევიზიო კომისიისა და სხვა ცენტრალური ორგანიზაციების ანგარიშებს;

ბ) გადასინჯავს და სცვლის პარტიის პროგრამასა და წესდებას;

გ) განსაზღვრავს პარტიის ტაქტიკურ ხაზს მიმდინარე პოლიტიკის ძირითად საკითხებში;

დ) ირჩევს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას.

32. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევა ხდება ყრილობის მიერ დაწესებული შემადგენლობით. იმ შემთხვევაში, თუ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტიდან გავიდნენ წევრები, მისი შემადგენლობის შევსება ხდება ყრილობის მიერ არჩეულ კანდიდატთა რიცხვიდან.

33. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ოთხ თვეში ერთხელ მაინც მართავს პლენარულ სხდომას. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით ესწრებიან.

34. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აწყობს: პოლიტიკური მუშაობისათვის — პოლიტიკურ ბიუროს, საორგანიზაციო მუშაობის საერთო ხელმძღვანელობისათვის — საორგანიზაციო ბიუროს, საორგანიზაციო-აღმასრულებელი ხასიათის მიმდინარე მუშაობისათვის — სამდივნოს, პარტიისა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისათვის — პარტიული კონტროლის კომისიას.

35. პარტიული კონტროლის კომისია:

ა) კონტროლს უწევს პარტიისა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებას პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა-სამეურნეო ორგანოების მიერ;

ბ) ამოწმებს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას;

გ) პასუხისგებაში აძლევს იმ პირთ, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით საკ. კ. პ. (ბ) პროგრამის, წესდების, პარტიული დისციპლინის დარღვევაში.

36. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ყრილობიდან ყრილობამდე ხელმძღვანელობს პარტიის მთელს მუშაობას, არის პარტიის წარმომადგენელი სხვა პარტიებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ურთიერთობაში, აწყობს პარტიის სხვადასხვა დაწესებულებებს და ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას, ნიშნავს ცენტრალური ორგანოების რედაქციებს, რომლებიც მუშაობენ მისი კონტროლის ქვეშ, და ამტკიცებს მსხვილი ადგილობრივი ორგანიზაციების პარტიული ორგანოების რედაქციებს, აწყობს და უძღვება საწარმოებს, რომელთაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ, ანაწილებს პარტიის ძალებსა და სახსრებს, განაგებს ცენტრალურ სალაროს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წარმართავს ცენტრალური საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას ამ ორგანიზაციათა პარტიული ჯგუფების საშუალებით.

37. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი პარტიული ყრილობიდან ყრილობამდე წელიწადში ერთხელ მაინც იწვევს საკავშირო პარტიულ კონფერენციას ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან პარტიის პოლიტიკის მომწიფებული საკითხების განსახილველად.

საკავშირო კონფერენციის დელეგატების არჩევა ხდება საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე.

საკავშირო კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებსა და არჩევნების წესს აწესებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, თუ ისინი არ არიან დელეგატები ადგილობრივ ორგანიზაციათა რწმუნებით, საკავშირო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სათათბირო ხმის უფლებით.

38. საკავშირო კონფერენციას ენიჭება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა ნაწილის შეცვლის უფლება, ე. ი. უფლება გაიყვანოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრები, რომლებიც როგორც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, ვერ უზრუნველჰყოფენ თავიანთ მოვალეობათა შესრულებას, და შესცვალოს ისინი სხვებით, მაგრამ იმ რაოდენობით, რაც არ აღემატება პარტიის ყრილობის მიერ არჩეული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის ერთ მეხუთედს.

საკავშირო კონფერენცია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობას შეავსებს პარტიის ყრილობის მიერ არჩეულ კანდიდატთა რიცხვიდან და მათ ნაცვლად შესაბამისი რაოდენობით ირჩევს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის ახალ კანდიდატებს.

39. საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებებს, გარდა იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც შეეხება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა შეცვლასა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის ახალ კანდიდატთა არჩევას, რაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მხრივ დამტკიცებას არ საჭიროებს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამტკიცებს.

საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებანი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებულნი, სავალდებულოა ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის.

40. ბოლშევიკური ხელმძღვანელობისა და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების მიზნით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს უფლება აქვს შექმნას პოლიტიკური განყოფილებები და გამოჰყოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანიზატორები სოციალისტური მშენებლობის ჩამორჩენილ უბნებზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ სახალხო მეურნეობისა და ქვეყნისათვის მთლიანად, და აგრეთვე, იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური განყოფილებები შეასრულებენ თავიანთ დამკვრელურ ამოცანებს,—გადააქციოს ისინი საწარმოო-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით მოწყობილ ჩვეულებრივ პარტიულ ორგანოებად.

პოლიტგანყოფილებები მუშაობენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული ინსტრუქციების საფუძველზე.

41. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი პარტიულ ორგანიზაციებს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას თავისი მუშაობის შესახებ.

42. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისია რევიზიას უწევს: ა) პარტიის ცენტრალურ ორგანოებში საქმეების მსვლელობის სისწრაფესა და სისწორეს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს აპარატის მოწესრიგებას; ბ) საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სალაროსა და საწარმოებს.

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

წესდება
საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკებისა)
კომუნისტური ინტერნაციონალის სექცია
(მიღებულია ერთხმად საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ)

დასასრული

V.
პარტიის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანიზაციები

43. საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საოლქო, სამხარეო პარტიული კონფერენცია, ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობა, ხოლო მათი მოწვევიდან მოწვევამდე — საოლქო, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. თავიანთ საქმიანობაში ისინი ხელმძღვანელობენ საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკებისა) და მისი ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებებით.

44. მორიგ საოლქო, სამხარეო კონფერენციას ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობას იწვევს საოლქო, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი წელიწადნახევარში ერთხელ, ხოლო საგანგებო კონფერენციის ან ყრილობის მოწვევა ხდება საოლქო კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ან საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ პარტორგანიზაციაში შემავალი ორგანიზაციების წევრთა საერთო რიცხვის ⅓-ის მოთხოვნით.

საოლქო, სამხარეო კონფერენციაზე, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საოლქო, სამხარეო კონფერენცია, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობა ისმენს და ამტკიცებს საოლქო, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის, სარევიზიო კომისიისა და სხვა საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური ორგანიზაციების საანგარიშო მოხსენებებს, იხილავს ოლქისა, მხარისა ან რესპუბლიკაში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული მუშაობის საკითხებს და ირჩევს საოლქო კომიტეტს, სამხარეო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სარევიზიო კომისიას და პარტიის საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებს.

45. საოლქო, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმდინარე მუშაობისათვის გამოჰყოფენ სათანადო აღმასრულებელ ორგანოებს, რომელთა შემადგენლობაში იქნება არა უმეტეს 11 კაცისა და 4-5 მდივნისა, აქედან პირველი მდივანი, მეორე მდივანი, მდივანი კადრების ხაზით და მდივანი პროპაგანდის ხაზით, რომლებსაც ამტკიცებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი. მდივნებისათვის სავალდებულოა პარტიული სტაჟი არა ნაკლებ ხუთი წლისა.

46. საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აწყობს პარტიის სხვადასხვა დაწესებულებებს ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ფარგლებში, ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას, ნიშნავს საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური პარტიული ორგანოს რედაქციას, რომელიც მისი კონტროლის ქვეშ მუშაობს, ხელმძღვანელობს პარტიულ ჯგუფებს პარტიისგარეშე ორგანიზაციებში, აწყობს და უძღვება თავის საწარმოებს, რომელთაც საერთო მნიშვნელობა აქვთ ოლქისათვის, მხარისათვის, რესპუბლიკისათვის, ანაწილებს თავისი ორგანიზაციის ფარგლებში პარტიის ძალებსა და სახსრებს, განაგებს საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ პარტიულ სალაროს.

47. საოლქო კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოწვეულ უნდა იქნას სამ თვეში ერთხელ მაინც.

48. ავტონომიური რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციები, აგრეთვე მხარეებისა და მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ნაციონალური და სხვა ოლქების პარტიული ორგანიზაციები მუშაობენ სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელობით და თავიანთ შინაურ ცხოვრებაში ხელმძღვანელობენ იმ დებულებებით, რომლებიც მოცემულია პარტიის წესდების V თავში საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანიზაციების შესახებ.

VI.
პარტიის საოკრუგო ორგანიზაციები

49. იმ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში, რომლებსაც ოკრუგები აქვთ, ამ უკანასკნელებში იქმნება საოკრუგო პარტიული ორგანიზაციები.

საოკრუგო პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო არის საოკრუგო პარტიული კონფერენცია, რომელსაც იწვევს საოკრუგო კომიტეტი წელიწადნახევარში ერთხელ მაინც, საგანგებო კონფერენცია, რომლის მოწვევა ხდება საოკრუგო კომიტეტის გადაწყვეტილებით ან საოკრუგო ორგანიზაციაში შემავალი ორგანიზაციების წევრთა საერთო რიცხვის ⅓-ის მოთხოვნით.

საოკრუგო კონფერენცია ისმენს და ამტკიცებს საოკრუგო კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და სხვა საოკრუგო პარტიული ორგანიზაციების ანგარიშებს, ირჩევს პარტიის საოკრუგო კომიტეტს, სარევიზიო კომისიას და საოლქო, სამხარეო კონფერენციაზე ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებს.

50. საოკრუგო კომიტეტი ირჩევს ბიუროს არა უმეტეს 9 კაცის შემადგენლობით და საოკრუგო კომიტეტის 4 მდივანს, მათ რიცხვში პირველ მდივანს, მეორე მდივანს, მდივანს კადრების ხაზით და მდივანს პროპაგანდის ხაზით. მდივნებისათვის სავალდებულოა სამწლიანი პარტიული სტაჟი. საოკრუგო კომიტეტის მდივნებს ამტკიცებს ოლქკომი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

51. საოკრუგო კომიტეტი აწყობს პარტიის სხვადასხვა დაწესებულებებს ოკრუგის ფარგლებში და ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას, ნიშნავს საოკრუგო პარტიული ორგანოს რედაქციას, რომელიც მისი ხელმძღვანელობით და კონტროლით მუშაობს, ხელმძღვანელობს პარტიულ ჯგუფებს პარტიისგარეშე ორგანიზაციებში, აწყობს თავის საწარმოებს, რომელთაც საოკრუგო მნიშვნელობა აქვთ, ანაწილებს ოკრუგის ფარგლებში პარტიის ძალებსა და სახსრებს, განაგებს საოკრუგო პარტიულ სალაროს.

VII.
პარტიის საქალაქო და რაიონული (სოფლისა და ქალაქის) ორგანიზაციები

52. საქალაქო, რაიონულ პარტიულ კონფერენციას იწვევს საქალაქო, რაიონული კომიტეტი წელიწადში ერთხელ მაინც; საგანგებო კონფერენციის მოწვევა ხდება საქალაქო, რაიონული კომიტეტის გადაწყვეტილებით ან საქალაქო, რაიონულ ორგანიზაციაში შემავალი ორგანიზაციების წევრთა საერთო რიცხვის ⅓-ის მოთხოვნით.

საქალაქო, რაიონული კონფერენცია ისმენს და ამტკიცებს საქალაქო, რაიონული კომიტეტის, სარევიზიო კომისიისა და სხვა საქალაქო, რაიონული ორგანიზაციების საანგარიშო მოხსენებებს, ირჩევს საქალაქო, რაიონულ კომიტეტს, სარევიზიო კომისიას და სამხარეო, საოლქო კონფერენციაზე ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებს.

53. საქალაქო, რაიონული კომიტეტი ირჩევს ბიუროს 7-9 კაცის შემადგენლობით და პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტის სამ მდივანს. საქალაქო, რაიონული კომიტეტის მდივნებისათვის სავალდებულოა პარტიული სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა. საქალაქო და რაიონული კომიტეტის მდივნებს ამტკიცებს საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

54. საქალაქო, რაიონული კომიტეტი აწყობს და ამტკიცებს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს საწარმოებსა, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში, აწარმოებს კომუნისტების რეგისტრაციას, აწყობს პარტიის სხვადასხვა დაწესებულებებს ქალაქის, რაიონის ფარგლებში და ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას, ნიშნავს საქალაქო, რაიონული პარტიული ორგანოს რედაქციას, რომელიც მისი ხელმძღვანელობით და კონტროლით მუშაობს, ხელმძღვანელობას უწევს პარტიულ ჯგუფებს პარტიისგარეშე ორგანიზაციებში, აწყობს თავის საწარმოებს, რომლებსაც საერთო-საქალაქო, რაიონული მნიშვნელობა აქვთ, ანაწილებს ქალაქისა და რაიონის ფარგლებში პარტიის ძალებსა და სახსრებს, განაგებს საქალაქო, რაიონულ პარტიულ სალაროს. საქალაქო, რაიონული კომიტეტი საოლქო კომიტეტს, სამხარეო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უდგენს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებულ ვადებში და ფორმების მიხედვით.

55. საქალაქო, რაიონული კომიტეტის პლენუმი მოიწვევა თვენახევარში ერთხელ მაინც.

56. მსხვილ ქალაქებში, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნებართვით, იქმნება რაიონული ორგანიზაციები, რომლებიც საქალაქო კომიტეტს ემორჩილებიან.

VIII.
პარტიის პირველადი ორგანიზაციები

57. პარტიის საფუძველს წარმოადგენს პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები ეწყობა ფაბრიკებში, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში და სხვა სამეურნეო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებში, სოფლებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში და სხვ., თუ იქ არის პარტიის არა ნაკლებ 3 წევრისა.

საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში და სხვ., სადაც პარტიის 3 წევრზე ნაკლებია, ეწყობა საკანდიდატო ან პარტიულ-კომკავშირული ჯგუფები, რომელსაც სათავეში უდგას პარტორგი, გამოყოფილი პარტიის რაიკომის, საქალაქო კომიტეტის ან პოლიტგანყოფილების მიერ.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ამტკიცებენ რაიონული, საქალაქო კომიტეტები ან სათანადო პოლიტგანყოფილებანი.

58. საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და სხვ., სადაც პარტიის 100-ზე მეტი წევრი და კანდიდატია საერთო პირველადი პარტიული ორგანიზაციის შიგნით, რომელიც მოიცავს მთელ საწარმოს, დაწესებულებას და სხვ., შეიძლება თვითეულ ცალკე შემთხვევაში რაიკომის, საქალაქო კომიტეტის ან სათანადო პოლიტგანყოფილების მიერ დამტკიცების შემდეგ მოეწყოს პარტიული ორგანიზაციები საამქროებში, უბნებში, განყოფილებებში და სხვ.

საამქროს, საუბნო და სხვ. ორგანიზაციების შიგნით, აგრეთვე იმ პირველადი პარტორგანიზაციების შიგნით, სადაც 100-ზე ნაკლები წევრი და კანდიდატი ირიცხება, შეიძლება შეიქმნას პარტიული ჯგუფები საწარმოს ბრიგადებისა და აგრეგატების მიხედვით.

59. მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც პარტიის 500-ზე მეტი წევრი და კანდიდატი ირიცხება, შეიძლება თვითეულ ცალკე შემთხვევაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნებართვით შეიქმნას პარტიის საქარხნო კომიტეტები და ამ საწარმოთა საამქრო პარტორგანიზაციებს მიენიჭოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის უფლებანი.

60. პირველადი პარტიული ორგანიზაცია მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის მასებს აკავშირებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებთან. მის ამოცანას წარმოადგენს:

ა) მასებში პარტიული ლოზუნგებისა და გადაწყვეტილებათა გასატარებლად საგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა და საქარხნო პრესის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა;

ბ) პარტიაში ახალ წევრთა მოზიდვა და მათი პოლიტიკური აღზრდა;

გ) რაიკომისთვის, საქალაქო კომიტეტის ან პოლიტგანყოფილებისათვის ხელის შეწყობა მთელ მის პრაქტიკულ მუშაობაში;

დ) საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და სხვ. მასების მობილიზაცია საწარმოო გეგმის შესრულებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარებისათვის;

ე) საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში უნიათობასთან და საქმის უყაირათოდ გაძღოლასთან ბრძოლა და ყოველდღიური ზრუნვა მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

ვ) აქტიური მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

61. საწარმოო წარმოებათა, მათ შორის საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და საწარმოთა მუშაობის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით ამ ორგანიზაციებს ენიჭებათ საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლება.

სახალხო კომისარიატების პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც, საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის განსაკუთრებული პირობების გამო, კონტროლის ფუნქციებით სარგებლობა არ შეუძლიათ, ვალდებული არიან სიგნალი მისცენ დაწესებულების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ, აღნიშნონ სახალხო კომისარიატისა და მისი ცალკეული მუშაკების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელებს უგზავნონ თავიანთი მასალა და მოსაზრებანი.

სახალხო კომისარიატების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს ამტკიცებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის ყველა კომუნისტი მუშაკი სახალხო კომისარიატის ერთ საერთო პარტიულ ორგანიზაციაში შედის.

62. მიმდინარე სამუშაოს საწარმოებლად პირველადი პარტიული ორგანიზაცია ერთი წლით ირჩევს ბიუროს არა უმეტეს 11 კაცის შემადგენლობით.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროები იქმნება პარტორგანიზაციებში, სადაც ირიცხება პარტიის არა ნაკლებ 15 წევრისა.

პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც პარტიის 15 წევრზე ნაკლები ირიცხება, ბიურო არ იქმნება, არამედ აირჩევა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

პარტიის წევრთა კოლექტიური ხელმძღვანელობის სულისკვეთებით სწრაფი გამოზრდისა და აღზრდის მიზნით საამქროს პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც ირიცხება პარტიის არანაკლებ 15, მაგრამ არა უმეტეს 100 წევრისა, უფლება ენიჭებათ აირჩიონ საამქრო პარტიული ორგანიზაციის ბიურო 3-5 კაცის შემადგენლობით, ხოლო სადაც პარტიის 100-ზე მეტი წევრი ირიცხება — 5-7 კაცის შემადგენლობით.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებშიც გაერთიანებულია პარტიის არა უმეტეს 100 წევრისა, პარტიულ მუშაობას, როგორც წესი, ეწევიან მუშაკები, რომლებიც განთავისუფლებული არ არიან წარმოებაში მუშაობისაგან.

პირველადს პარტორგანიზაციებში, რომლებშიც პარტიის 1000-მდე წევრია გაერთიანებული, მუშაობს 2-3 ფასიანი მუშაკი, ხოლო სადაც 3 ათასამდე და კიდევ მეტი წევრია გაერთიანებული, მუშაობს წარმოებაში მუშაობისაგან განთავისუფლებული 4-5 ამხანაგი.

პირველადი და საამქრო პარტორგანიზაციების მდივნებისათვის სავალდებულოა არანაკლებ ერთი წლის პარტიული სტაჟისა.

IX.
პარტია და კომკავშირი

63. საკ. ალკკ თავის მუშაობას აწარმოებს საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობით. — საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი წარმოადგენს კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოს და ემორჩილება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. საკ. ალკკ ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობას წარმართავენ და კონტროლს უწევენ სათანადო რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციები.

64. საკ. ალკკ წევრები, რომლებიც პარტიის წევრები ან კანდიდატები არიან, კომკავშირიდან გადიან პარტიაში მათი შესვლის მომენტიდან, თუ ხელმძღვანელი პოსტები არ უკავიათ კომკავშირულ ორგანიზაციებში.

65. საკ. ალკკ პარტიის აქტიური თანაშემწეა მთელს სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში. კომკავშირული ორგანიზაციები საქმით უნდა იყვნენ პარტიული დირექტივების აქტიური გამტარებლები სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, განსაკუთრებით იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ არსებობს.

66. კომკავშირულ ორგანიზაციებს აქვთ ფართო ინიციატივის უფლება საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და დაწესებულების მუშაობის ყველა საკითხის განხილვასა და სათანადო პარტორგანიზაციების წინაშე დაყენებაში, საკითხების, რომლებიც დაკავშირებულია ამ წარმოება-დაწესებულებათა საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მათთვის მუშაობის გაუმჯობესებაში, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მოწყობაში, მასობრივი კამპანიების ჩატარებაში და სხვ. საჭირო დახმარების გაწევის ამოცანებთან.

X.
პარტორგანიზაციები წითელ არმიაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში და ტრანსპორტზე

67. მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობას ანხორციელებს მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველო, რომელიც მუშაობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილების უფლებებით, და მუშურ-გლეხურ სამხედრო-საზღვაო ფლოტში, ისევე როგორც ტრანსპორტზე, — სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტიკური სამმართველო და ტრანსპორტის პოლიტიკური სამმართველო, რომლებიც მუშაობენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო-საზღვაო განყოფილებისა და სათანადო სატრანსპორტო განყოფილების უფლებებით.

თავის ხელმძღვანელობას მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველო, სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტიკური სამმართველო და ტრანსპორტის პოლიტსამმართველო ატარებენ მათ მიერ დანიშნული პოლიტგანყოფილებების, სამხედრო კომისრების, პარტორგების და სათანადო საარმიო, საფლოტო და საგზაო კონფერენციებზე არჩეული პარტიული კომისიების მეშვეობით.

პარტიული ორგანიზაციები წითელ არმიაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში და ტრანსპორტზე მუშაობენ განსაკუთრებული ინსტრუქციების საფუძველზე, რომლებსაც ამტკიცებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

68. ოკრუგების, ფლოტებისა და არმიების პოლიტსამმართველოთა უფროსებისა და რკინიგზის პოლიტგანყოფილებათა უფროსებისათვის სავალდებულოა 5 წლიანი პარტიული სტაჟი, დივიზიებისა და ბრიგადების პოლიტგანყოფილებათა უფროსებისათვის — 3 წლიანი პარტიული სტაჟი.

69. პოლიტორგანოები ვალდებული არიან მჭიდრო კავშირი იქონიონ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან ამ კომიტეტებში პოლიტორგანოთა ხელმძღვანელებისა და სამხედრო კომისრების მუდმივი მონაწილეობის გზით, აგრეთვე იმ გზით, რომ სისტემატურად მოსმენილ იქნას პარტკომიტეტების სხდომებზე პოლიტორგანოების უფროსთა, სამხედრო კომისართა მოხსენებები პოლიტმუშაობის შესახებ სამხედრო ნაწილებში და პოლიტგანყოფილებებისა—ტრანსპორტზე.

XI.
პარტიული ჯგუფები პარტიის გარეშე ორგანიზაციებში

70. საბჭოთა, პროფკავშირული, კოოპერატიული და სხვა მასობრივი ორგანიზაციების ყველა ყრილობაზე, თათბირზე და არჩევით ორგანოებში, სადაც მოიპოვება პარტიის 3 წევრი მაინც, ეწყობა პარტიული ჯგუფები, რომელთა ამოცანასაც შეადგენს პარტიის გავლენის ყოველმხრივ გაძლიერება და მისი პოლიტიკის გატარება უპარტიოთა შორის, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცება, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, პარტიული და საბჭოთა დირექტივების შესრულების შემოწმება.

მიმდინარე მუშაობისათვის ჯგუფი ირჩევს მდივანს.

71. პარტიული ჯგუფები ემორჩილებიან სათანადო პარტორგანიზაციებს (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სამხარეო კომიტეტს, საოლქო კომიტეტს, საოკრუგო კომიტეტს, საქალაქო კომიტეტს, რაიონულ კომიტეტს).

ჯგუფები ვალდებული არიან ყველა საკითხში მტკიცედ და განუხრელად იხელმძღვანელონ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა გადაწყვეტილებებით.

XII.
პარტიული დისციპლინის დარღვევისათვის სასჯელის ზომები

72. პარტიის ერთიანობის დაცვა, ორგულობის, ფრაქციული ბრძოლისა და გათიშვის უმცირეს ცდასთანაც კი დაუნდობელი ბრძოლა, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის გატარება პარტიის ყველა წევრისა და ყველა პარტიული ორგანიზაციის უპირველეს მოვალეობას შეადგენს.

73. პარტიული და საბჭოთა ცენტრების დადგენილებანი სწრაფად და ზუსტად უნდა სრულდებოდეს. უმაღლესი ორგანიზაციების დადგენილებათა შეუსრულებლობა და სხვა დანაშაულობანი, რომელთაც დანაშაულად სთვლის პარტიის საზოგადოებრივი აზრი, იწვევენ: ორგანიზაციისათვის — გაკიცხვას და ხელახალ საერთო რეგისტრაციას (ორგანიზაციის დაშლა); პარტიის ცალკეულ წევრთათვის—ამა თუ იმ სახის გაკიცხვას (მითითება, საყვედური, და სხვ.), საჯაროდ გაკიცხვას, საპასუხისმგებლო პარტიულ და საბჭოთა სამუშაოდან დროებით გადაყენებას, პარტიიდან გარიცხვას, პარტიიდან გარიცხვას და მასთან ერთად ადმინისტრატიული და სასამართლო ხელისუფლებისათვის შეტყობინებას დანაშაულობის შესახებ.

74. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა მიერ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევისა, ორგულობისა და ფრაქციულობის განახლებისა ან დაშვების შემთხვევებში, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს უფლება აქვს გამოიყენოს მათ მიმართ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გარიცხვა და, როგორც უკიდურესი ზომა, პარტიიდან გარიცხვა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა მიმართ ასეთი უკიდურესი ზომის გამოყენების პირობად უნდა იყოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის ყველა კანდიდატის მონაწილეობით, თუ პარტიის ყველაზე უფრო პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა ასეთი საერთო კრება ხმის ორი მესამედით საჭიროდ იცნობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ან პარტიიდან გარიცხვას, ასეთი ზომა დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს.

XIII.
პარტიის ფულადი სახსრები

75. პარტიისა და მისი ორგანიზაციების ფულადი სახსრები სდგება საწევრო გადასახადებისაგან, პარტიის საწარმოთა შემოსავლისაგან და სხვა შემოსატანისაგან.

76. ყოველთვიური საწევრო გადასახადი პარტიის წევრებისა და კანდიდატებისათვის წესდება შემდეგი ოდენობით:

ვინც იღებს ხელფასს	100	მანეთამდე, იხდის	— მ.	20 კ.
„	101—150	„ „	— „	60 „
„	151—200	„ „	1 „	— „
„	201—250	„ „	1 „	50 „
„	251—300	„ „	2 „	— „
300 მან. ზევით	500	„ „	2 %	შემოსავლიდან
500 „ „		„	3 %	

საწევრო გადასახადის ოდენობას პარტიის იმ წევრებისა და კანდიდატებისათვის, რომელთაც მტკიცე ხელფასი არა აქვთ, განსაზღვრავს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

77. შესასვლელი გადასახადი კანდიდატად შესვლის დროს გადახდილ უნდა იქნას ხელფასის 2 პროცენტის რაოდენობით.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვა*

დასასრული

1939 წლის 1 იანვრისათვის რკინიგზის ტრანსპორტზე ჩვენ გვყავდა 165.511 კომუნისტი: საკ. კ. პ. (ბ) წევრები—115.346 კაცი, კანდიდატები—50.165 კაცი.

1934 წლის 1 იანვრისათვის ტრანსპორტზე კომკავშირელები იყო 115.453 კაცი, ხოლო 1939 წლის 1 იანვრისათვის—337.889 კაცი. ე. ი. გადიდება ერთი-ორად და უფრო მეტად. ლენინურ-სტალინური კომკავშირი ტრანსპორტზე უზარმაზარ არმიად გაიზარდა. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალება, რკინიგზის ტრანსპორტზე 20 ათას კომკავშირელის მიღების შესახებ—შესრულებულია. 2 უკანასკნელი წლის განმავლობაში კომკავშირელთა რიცხვიდან საკ. კ. პ. (ბ) კანდიდატებად მიღებულია 22 ათასზე მეტი კაცი და კანდიდატებიდან საკ. კ. პ. (ბ) წევრებად გადაყვანილია 1,5 ათასზე მეტი კაცი.

დამახასიათებელია, რომ უკანასკნელ წლებში კომუნისტების რიცხვის გადიდება მოხდა იმ პირთა ხარჯზე, რომელთაც უმაღლესი და საშუალო განათლება აქვთ.

ასე, მაგალითად, თუ 1936 წლის 1 იანვრისათვის ტრანსპორტზე იყო უმაღლესი განათლების მქონე 8.990 კომუნისტი, 1939 წლის 1 იანვრისათვის კი უკვე 13.064 კაცი იყო.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებით მოეწყო 478 საკვანძო პარტკომი. მათ გააერთიანეს რკინიგზის ტრანსპორტის ყველა პირველადი ორგანიზაციის 60 პროცენტზე მეტი.

ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებებმა და საკვანძო პარტკომებმა თავისი უმთავრესი ყურადღება მიაქციეს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას და კადრების პოლიტიკურ შემოწმებას იმის მიხედვით, თუ როგორ მუშაობენ ისინი შესანიშნავი სტალინური ნაწარმოების—საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესასწავლად. გზების ყველა პოლიტგანყოფილებაში შექმნილია ლექტორთა ჯგუფები, რომლებიც სისტემატურად მიემგზავრებიან კვანძებსა და სადგურებში საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესახებ ლექციების წასაკითხავად, იმ რკინიგზელების დასახმარებლად, რომელნიც „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ დამოუკიდებლად სწავლობენ. მარტო 1939 წლის იანვრისა და თებერვლის განმავლობაში წაკითხულ იქნა დაახლოებით 7 ათასი ლექცია, რომლებსაც დაესწრო 1 მილიონზე მეტი რკინიგზელი.

ბოლშევიზმის დაუფლებისა და პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის შეხამების შესახებ ამხანაგ სტალინის მიერ მოცემული ლოზუნგი შემდეგშიც უნდა წარმოადგენდეს რკინიგზის პარტორგანიზაციათა მოქმედების პროგრამას.

მაგრამ, თუმცა პარტორგანიზაციებმა გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა, თუმცა ისინი გამობრძმედნენ ზამთრის სიძნელეებთან ბრძოლაში, მაგრამ მათ მუშაობაში ისე, როგორც ხელმძღვანელი სამეურნეო და პოლიტგანყოფილებათა მუშაკების მუშაობაში, მაინც აქვს ადგილი დიდ ნაკლოვანებებს როგორც მასობრივ მუშაობის, კომუნისტთა იდეურ აღზრდის დაყენების მხრივ, ისე ორგანიზაციული მუშაობის დაყენების მხრივ. ამიტომ თვითკრიტიკა და სიფხიზლე საფუძვლად უნდა ედოს პოლიტიკური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას ტრანსპორტზე. ტრანსპორტის პარტორგანიზაციებმა, თავიანთ მუშაობაში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარებაზე დაყრდნობით, ლიკვიდაცია უყვეს „განსხვავების ზოლს“ ადგილობრივსა და რკინიგზის ორგანიზაციებს შორის.

თუ საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობისათვის კომუნისტებს შორის ბევრნი იყვნენ ისეთები, რომელნიც ნორმებს არ ასრულებდნენ, თუ ბევრნი იყვნენ წუნმკეთებელნი, სამაგიეროდ ახლანდელი ეტაპი ხასიათდება კომუნისტების ავანგარდული როლის თვალსაჩინო ამაღლებით წარმოებაში.

რკინიგზის ტრანსპორტზე მომუშავე კომუნისტები მებრძოლურად ჩაებნენ რკინიგზის ტრანსპორტის აღმავლობისათვის ბრძოლაში. რკინიგზის ტრანსპორტზე გაშლილ სტახანოვურ-კრივონოსულ მოძრაობაში წამყვანი როლი კომუნისტებს ეკუთვნით. სოციალისტური შრომის ასობით ნოვატორთა შორის, რომელთა სახელებს მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს, უდიდეს უმრავლესობას კომუნისტები და კომკავშირელები შეადგენენ.

რკინიგზის ტრანსპორტის პარტორგანიზაციებმა დიდი მუშაობა შეასრულეს ტრანსპორტის ახალი ტექნიკის დაუფლების, მუშაობის სტახანოვურ-კრივონოსული მეთოდების დანერგვის, ტექნიკური ექსპლოატაციის წესების შესწავლის, ჩამორჩენილებისათვის დახმარების გაწევის დარგში. სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმოიშვა ახალი ნორმები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს რკინიგზის ტრანსპორტის აღმავლობაში (მძიმეწონიანი მატარებლების წაყვანა, რეგულური სვლა, ვაგონების რემონტი მოუხსნელად, შეჯიბრება ერთ სვლაზე, საგარანტიო პასპორტების გაცემა, სადგურებისა და დეპოების მარკები, ზამთრისათვის მზადყოფნის პასპორტების გაცემა). ამ ფორმების ინიციატორები, უმთავრესად, კომუნისტები და კომკავშირელები იყვნენ. რკინიგზელი კომუნისტები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე წარსდგნენ, როგორც ჩვენი პარტიის დარაზმული მონოლიტური რაზმი.

დონეცის გზების რკინიგზელთა ინიციატივას წინასაყრილობო შეჯიბრების შესახებ საბჭოთა კავშირის ყველა რკინიგზელი გამოეხმაურა. წინასაყრილობო შეჯიბრები შედეგი იყო დატვირთვისა და განტვირთვის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულება თებერვალში, ხანმოკლე სიძნელეთა შემდეგ.

სამხარეო კომიტეტები, საოლქო კომიტეტები ამჟამად სერიოზულ ყურადღებას აქცევენ რკინიგზის მუშაობას და ეხმარებიან რკინიგზელებს. ამავე დროს პოლიტგანყოფილებები ეყრდნობიან პროფკავშირების დახმარებას. უნდა ითქვას, რომ რკინიგზების მუშაკთა პროფკავშირები დიდ დახმარებას გვიწევენ თავიანთი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე მეთაურთა შემადგენლობა, დაწყებული გზის უფროსით, მონაწილეობას იღებს პოლიტიკურ ცხოვრებაში, პარტიულ მუშაობაში. პარტიული პოლიტიკური ღირსების გრძნობა რკინიგზელ სამეურნეო მუშაკებს ამჟამად, უეჭველად, განვითარებული აქვთ. რა კი რკინიგზელები, ცუდი მუშაობის გამო, ძალიან დიდხანს იყვნენ სახელგატეხილნი, ახლა, როცა ისინი აღიარებულ იქნენ და როცა რკინიგზელთა ღირსება თვითეული რკინიგზელის და თვით მეისრის საქმედ იქცა—გასაგებია, რომ სამეურნეო მუშაკს უკვე აღარ სურს მისი დაკარგვა. ამ ღირსებას ისინი არავის დაუთმობენ, ეს ღირსება მათ თავიანთი მუშაობით მოიპოვეს **(ტაში)**.

შემიძლია ვთქვა, რომ როდესაც იქმნება ესა თუ ის სიძნელე, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში, ამ სიძნელეებს განიცდიან ყველანი, დაწყებული მეისრით, მემანქანით, კონდუქტორით და გათავებული მეთაურებით, მათი ცოლებითა და შვილებით. ჯერ კიდევ არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც საქმეს დაუდევრად, უხალისოდ ეპყრობიან, ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც არ იციან მუშაობა, რომელთაც არ უსწავლიათ და რომელთაც კვეხნით უკვე მომზადებულ ადამიანებად მოაქვთ თავი. მაგრამ რკინიგზელთა ძირითადი მასა, პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მიერ დიდ პოლიტიკურ სიმაღლეზე აყვანილი, ბოლშევიკურად იბრძვის საბჭოთა რკინიგზის ტრანსპორტის ღირსებისათვის, ტრანსპორტზე მუშაობის ღირსებისათვის, რომელზედაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი.

შეიცვალა რკინიგზელთა კულტურულ-პოლიტიკური სახე. რკინიგზელი, რომელიც წინათ მოლუშული, მიუკარებელი იყო, გახდა ხალისიანი, მხნე და თავის ხვალინდელ დღეში დარწმუნებული. ეს არის ნამდვილი მებრძოლი — სოციალიზმის მშენებელი. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებს რკინიგზელთა სრულიად-საკავშირო დღე, რაც ამხანაგ სტალინის მიერ რკინიგზელთა მიღების აღსანიშნავად დაწესდა. ეს დღე გადაიქცა რკინიგზელთა ნამდვილ დღესასწაულად ყოფაცხოვრებაშიც და მუშაობაშიც. რკინიგზელები მას სამართლიანად რკინიგზელის სტალინურ დღეს უწოდებენ.

ჩვენში რკინიგზის ტრანსპორტზე ახალი ადამიანები გაიზარდნენ. და გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენ გვყავს ასეული ათასობით, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, მოწინავე ადამიანები ქალთა შორისაც და მამაკაცთა შორისაც, მემანქანეებსა და სხვა პროფესიებს შორის.

განსაკუთრებით ჩვენი მემანქანეები ამაყობენ უწინარეს ყოვლისა იმით, და ამას ისინი სულ მუდამ აცხადებენ, რომ ისინი და ამხანაგი სტალინი ერთი პროფესიისანი არიან. ისინი რკინიგზის ლოკომოტივის მემანქანეები არიან, ხოლო ამხანაგი სტალინი რევოლუციის ლოკომოტივის მემანქანეა **(ხანგრძლივი ტაში)**. ისინი აცხადებენ: ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ისე, როგორც გვასწავლის, როგორც მუშაობს და იბრძვის ამხანაგი სტალინი.

შესრულების შემოწმებისა და კადრების შერჩევის შესახებ

პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა ლენინის გენიალურ აზრზე იმის შესახებ, რომ — „ორგანიზაციულ მუშაობაში თავიდათავია — **ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება**“. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სწორად ხელმძღვანელობა—ეს ნიშნავს: „ჯერ ერთი, გამონახოთ საკითხის სწორი გადაწყვეტა, ხოლო სწორი გადაწყვეტის გამონახვა შეუძლებელია მასების გამოცდილების გაუთვალისწინებლად, რომლებიც თავიანთ საკუთარ ზურგზე განიცდიან ჩვენი ხელმძღვანელობის შედეგებს;

მეორე, მოვაწყოთ სწორი გადაწყვეტილების შესრულება, რისი გაკეთებაც, ამავე დროს, შეუძლებელია, მასების მხრივ პირდაპირი დახმარების გარეშე;

მესამე, მოვაწყოთ ამ გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება, რისი გაკეთებაც, ისევ შეუძლებელია მასების პირდაპირი დახმარების გარეშე“. (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის მარტის პლენუმზე წარმოთქმული საბოლოო სიტყვიდან).

ამა თუ იმ საკითხის თვით გადაწყვეტას უნდა ვიღებდეთ მასების რჩევით, მასებზე დაყრდნობით. მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიუღია პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საანგარიშო პერიოდში, პოლიტიკური და ორგანიზაციული ხასიათის გადაწყვეტილებანი: კონსტიტუციის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესახებ, არჩევნების შესახებ, პარტიული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ—ყველა ეს საკითხი სწორედ ასე წყდებოდა; მუშაკებს ადგილებიდან ვიბარებდით ცენტრალურ კომიტეტში, მათთან განვიხილავდით საკითხებს, ვათათბირობდით და უკვე ამის შემდეგ გამოგვქონდა გადაწყვეტილება. მაშასადამე, მასების გამოცდილების გათვალისწინება, მასების მხრივ დახმარება—ეს არის პირველი ნიშანი ბოლშევიკური სტილისა, რომელიც უნდა დაიცვას სამეურნეო მუშაკმა—ხელმძღვანელმა.

მეორე ნიშანია შესრულების ნამდვილი ბოლშევიკური შემოწმების მოწყობა. უნდა ითქვას, რომ შესრულების შემოწმების მხრივ ჩვენში ბევრი გარღვევაა. მართალია, ბრძანებები ბლომად იცემა. ბრძანებათა გამოცემა, ხომ უფრო ადვილია, ვიდრე მისი გულმოდგინედ შემოწმება. ვფიქრობ, შესრულების შემოწმების ერთერთი პლუსი იქნებოდა, ჩვენ რომ რაც შეიძლება ნაკლები ბრძანებები გვქონდეს და რაც შეიძლება მეტ ყურადღებას მივაქცევდეთ ადამიანთა აღრიცხვასა და შემოწმებას.

შესრულების შემოწმება და ბოლშევიკური რევოლუციური სიფხიზლის განხორციელება ერთმანეთისაგან განუყოფელია. შესრულების შემოწმება შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ მუშაობს ადამიანი. სიფხიზლე იმას ნიშნავს, რომ თვალყური ადევნო, თუ როგორ მუშაობს ადამიანი, გულიანად თუ უგულგულოდ, ცეცხლით თუ უცეცხლოდ, აქსოვს თუ არა იგი თავის საქმეში სულსა და გულს, გული შესტკივა თუ არა საქმეზე თუ, იქნება, ფორმალურად იშორებს თავიდან საკითხებს. ჩვენ ხშირად ვხედავთ ისეთ ადამიანებს, რომელნიც ფორმალურად უდგებიან საქმეს, სწერენ ქაღალდებს, რათა თავი დაიზღვიონ, რათა ყოველ შემთხვევისათვის იქონიონ ქაღალდი, მაგრამ გული კი არ შესტკივათ საქმეზე, გულთან ახლოს არ იკარებენ ყველა იმ სიძნელეს, რომლებსაც განიცდიან. ამრიგად, შესრულების შემოწმების საშუალებით შეიძლება ადამიანთა დანახვა.

თუ სიფხიზლეზე ვილაპარაკებთ, სიფხიზლე, როგორც ამბობდა ამხანაგი სტალინი, და როგორც გუშინ სთქვა ამხანაგმა მიქოიანმა, სწორედ შესრულების შემოწმების მოწყობით არის შესაძლებელი.

შემდეგ, ბოლშევიკურ სტილს სამეურნეო ხელმძღვანელის მუშაობაში შეადგენს უნარი—შეახამოს სამეურნეო საკითხები პარტიის საერთო პოლიტიკასთან, კონკრეტულ პრაქტიკულ საქმეებთან, რომლებიც უზრუნველჰყოფენ პარტიის ხაზის გატარებას პრაქტიკაში.

აქ მაგალითს ისევ და ისევ გვაძლევს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ჩვენი დიდი სტალინი. ჩვენი სამეურნეო მუშაკები რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ მუშაობას შეისწავლიდნენ, ისინი ბევრ რამეს ისწავლიდნენ ყველა საკითხის გადაწყვეტაში.

ყოველი საკითხი, რომელიც ცენტრალურ კომიტეტში სწყდება, ზოგადი მითითებებით კი არ იფარგლება. სამეურნეო საკითხებშიც, საერთაშორისო საკითხებშიც და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხებშიც ცენტრალური კომიტეტი და ამხანაგი სტალინი, ზოგად-პოლიტიკურ ნათელ გეზთან ერთად, უაღრესად კონკრეტულ მითითებებსაც იძლევიან. და ეს შეხამებულია შესრულების შემოწმებასთან. მე მგონია, რომ ბევრ ჩვენს მუშაკთაგანს არ აქვს წარმოდგენილი, თუ მაგალითად, რამდენად კონკრეტულად სწვდება ამხანაგი სტალინი თავდაცვის განმტკიცების, მრეწველობის, განსაკუთრებით თავდაცვის მრეწველობის მობილიზაციის საქმეს იმისათვის, რომ დამზადდეს თანამედროვე სახის ყველა იარაღი, რომ ჩვენი წითელი არმია დაეუფლოს ამ სახის იარაღს დაწყებული არტილერიით, ტანკით, თვითმფრინავით.

იმ საოლქო კომიტეტებისა და სამხარეო კომიტეტების ბევრი მდივანი, რომელთა ოლქებსა და მხარეებში სამხედრო მრეწველობა მოიპოვება, იცნობს და ჰგრძნობს ამხანაგ სტალინის ყოველდღიურ მითითებებს თავდაცვის საკითხებზე, სწორედ ისე, როგორც ამხანაგი სამხედრო მუშაკები, რომელნიც ანხორციელებენ ამხანაგ სტალინის ყოველდღიურ მითითებებს.

ჩვენ ყველამ, სამეურნეო მუშაკებმა, თუ გვსურს მივაღწიოთ წარმატებას შემდეგში, უნდა გარდავქმნათ ჩვენი მუშაობა. ხელმძღვანელობის გარდაქმნის დარგში ბევრი რამ არის გაკეთებული: გავყავით სახალხო კომისარიატები, შევქმენით კოლეგიები სახალხო კომისარიატებში, შევქმენით მთელი რიგი ახალი მთავარი სამმართველოები, ახალი ტრესტები—ეს დიდი და შესანიშნავი რეფორმაა. ყოველივე ამან განამტკიცა ჩვენი სახელმწიფო, განამტკიცა ჩვენი ძლიერება.

პარტიის მთელი მუშაობა დაკავშირებული იყო მავნებელთა განადგურებასთან და ახალი მილიონობით ადამიანების დაწინაურებასთან.

1937-38 წლების პერიოდში მოხდა მძიმე და განსაკუთრებით სათბობ მასალათა მრეწველობის და რკინიგზის ტრანსპორტის ხელმძღვანელი კადრების უდიდესი განახლება, განადგურებული მავნებლების ნაცვლად ახალი ადამიანების დაწინაურება. დაწინაურებული არიან ათასობით ახალი ადამიანი. ახლად დაწინაურებული ხელმძღვანელები მეტ წილად ინჟინრები, ტექნიკოსები არიან. მაგალითად: ქვანახშირის მრეწველობის ტრესტების ხელმძღვანელ მუშაკთა შორის უმაღლესი განათლება აქვს (ინჟინრები) 114 კაცს ანუ 63 პროცენტს.

მაგრამ ეს ახალგაზრდა კადრები უნდა დაეუფლონ ორგანიზატორულ ხელოვნებას, განსაკუთრებით ახალი ნორმების შესრულების ამოცანასთან დაკავშირებით (სამუშაო ადგილის მომზადება და სხვ.) და ბოლო მოუღონ ცალმხრივობას — ინჟინერთა ვიწრო ინჟინერულ მიდგომას და ორგანიზატორთა ვიწრო ორგანიზატორულ მიდგომას.

მათ ბოლშევიკურად უნდა შეახამონ ორგანიზატორული, ადმინისტრატიული მუშაობა მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობასთან (კერძოდ, გაცდენების ასაცილებლად). ახალი კადრების წინაშე სდგას სწავლების, ბოლშევიზმის, მართვის უნარის დაუფლების ამოცანა.

მძიმე მრეწველობაში და რკინიგზის ტრანსპორტზე ისე, როგორც ყველგან, შექმნილია ახალი საწარმოო ტექნიკური ინტელიგენცია. მძიმე მრეწველობაში, რომელიც გაერთიანებული იყო მძიმე მრეწველობის ყოფილი სახალხო კომისარიატის მიერ, 70 ათასზე მეტი სპეციალისტიდან, რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ, ძირითად მასას შეადგენენ 40 წლამდე ასაკის მქონე ადამიანები (51,8 ათასი კაცი—76,1%). მძიმე მრეწველობის საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ძირითად მასას უმაღლესი სასწავლებლები დამთავრებული აქვს პირველი ხუთწლედისა და მეორე ხუთწლედის განმავლობაში. იმათი რაოდენობა, ვისაც უმაღლესი სასწავლებლები 1929 წლიდან 1938 წლამდე დაუმთავრებია, შეადგენს 80,3% (54.720), ხოლო სათბობ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—85,9% (10.447). მძიმე მრეწველობის საწარმოო - ტექნიკური ინტელიგენციის კადრები ასახავენ ნაციონალური კადრების შექმნაზე და აღზრდაზე პარტიის მიერ აღებულ ხაზს.

სპეციალისტ ქალთა რიცხვი მძიმე მრეწველობაში შეადგენს 13.000—19,1%-ს, ამასთან ინჟინრების რიცხვი უდრის 8,6 ათასს, ანუ 15,4%-ს, ქიმიკოს - ინჟინერი ქალები შეადგენენ 36,7%-ს, გეოლოგები — 21,2%-ს, ფერადი მეტალურგიის მეტალურგები—20%-ს, ხუროთმოძღვრები—18,9%-ს.

ამ ადამიანების უმრავლესობა გამოსულია მუშათა კლასის რიგებიდან.

როგორც ჰხედავთ, ამხანაგებო, ახალმა ადამიანებმა შესცვალეს კადრების ის ნაწილი, რომელიც აშკარად მოუმარჯვებელი აღმოჩნდა პოლიტიკურად და კულტურულად გაზრდილი მუშათა კლასის ხელმძღვანელობის, სტახანოვური მოძრაობის პირობებში საწარმოო პროცესების ხელმძღვანელობის ახალი პერიოდისათვის.

ამ ნაწილიდან პატიოსან ადამიანებმაც კი აითვისეს ჩვეულებანი და ჩვევები და მოექცნენ იმ სამეურნეო მუშაკთა გავლენის ქვეშ, რომლებიც გახლართული აღმოჩნდნენ მავნებლურ საქმეებში. ტროცკისტ - პიატაკოველ - ზინოვიეველ - ბუხარინელმა ბანდიტებმა მოახერხეს ჩაეთრიათ შპიონაჟში სამეურნეო მუშაკთა ნაწილი.

პარტია, სახელმწიფო და სოციალისტური მეურნეობა გაიწმინდა მათგან. ზოგიერთ რგოლში მოგვიხდა რამდენიმე ფენის მოხსნა. რკინიგზის ტრანსპორტის, ამ ყველაზე უფრო რთული მანქანის მაგალითზე, რომელსაც ევალება იმუშაოს საათივით ცენტრალიზებულად, სჩანს, თუ რკინიგზის ტრანსპორტმა, ეყრდნობა რა თავის მოწინავე ადამიანებს, ახალ კადრებს, როგორ უკეთ და უფრო კულტურულად იწყო მუშაობა.

ჩვენ გვყავნან ამჟამად კადრები, რომლებიც შეასრულებენ პარტიის, ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა ხელისუფლების ყოველგვარ ამოცანას, ამხანაგ სტალინის ყოველგვარ ამოცანას.

ამჟამად ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რათა ახალი კადრები დაეუფლონ ბოლშევიზმს.

კადრების შერჩევის საქმეში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ანხორციელებდა ამხანაგ სტალინის მიერ მოცემულ ხაზს. ახალი ადამიანების შერჩევა ხდებოდა საქმიანი თვისებების პოლიტიკურთან შეხამების საფუძველზე. ეს უნდა წარმოადგენდეს ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკთა მუშაობის ბოლშევიკური სტილის უმნიშვნელოვანეს თვისებას ამ საქმეში, ე. ი. ბოლშევიკურად შეარჩიონ მუშაკები არა მარტო საქმიანი თვისებების, არამედ პოლიტიკური ნიშნის მიხედვითაც.

კადრების შერჩევის სტალინურ პოლიტიკასა და პრაქტიკას საფუძვლად უდევს მხოლოდ პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესები. აი ამ ქვაკუთხედი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი მუშაობისა. სახელმწიფოს ინტერესები—ადამიანების შერჩევა, დაკავშირებული მტრების განადგურებასთან და ახალი ადამიანების დაწინაურებასთან—ესაა მთავარი და ძირითადი, რაც სწყვეტდა კადრების შერჩევის საქმეს. ჩვენს შემდგომ მუშაობაში კადრების შერჩევის დარგში საქმიანი პრინციპი უნდა დავუკავშიროთ პოლიტიკურ პრინციპს, რათა ნამდვილი ბოლშევიკი ხელმძღვანელი გავხდეთ, უნდა დავეუფლოთ ბოლშევიზმს. როდესაც მტრების საზიზღარი მუშაობა გამომჟღავნდა, ამხანაგმა სტალინმა ჩვენი საბჭოთა კადრებისათვის წამოაყენა ლოზუნგი ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ. ეს ნიშნავდა, რომ არ კმარა დაეუფლო ტექნიკას, არ კმარა გახდე ინჟინერი, ეკონომისტი, უნდა იყო პოლიტიკურად მომზადებული ადამიანი, რომ შენმა ინჟინრობამ ფუჭად არ ჩაიაროს, რომ მტერმა არ მოგატყუოს, რომ მან არ გაგიფუჭოს მუშაობა. პირიქით, რომ თვითონ შენ შეგეძლოს დროზე მისი გამოცნობა, დროზე მხილება.

ბოლშევიზმის დაუფლება ეს მარტო ის კი არაა, რომ იყო პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ადამიანი. გათვითცნობიერებული ადამიანი არის ხოლმე მტერიც. მაშასადამე, აქ საკითხი ეხება პოლიტიკური პროცესების ღრმად გაგებას, იმას, რომ შეგეძლოს ქვემძრომთა სულისკვეთების გამოცნობა, გესმოდეს კლასთა ბრძოლის კანონები, გესმოდეს ჩვენი ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ იმას, რომ შეგეძლოს დასძლიო შენს გზაზე არსებული სიძნელენი, იყო მუდამ მტკიცე, დარწმუნებული, ხალისიანად, ენერგიულად მომუშავე ბოლშევიკი.

ამ თვალსაზრისით ჭეშმარიტად გიგანტურია ის მუშაობა, რომელსაც ანხორციელებს ჩვენი პარტია ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პარტიული მუშაობის გაუმჯობესების მხრივ, პროპაგანდის, პრესის ამაღლებისა და გაუმჯობესების მხრივ და განსაკუთრებით პარტიის ისტორიის შესანიშნავი სახელმძღვანელოს გამოცემის მხრივ.

ამხანაგ სტალინის მოხსენება არის დიადი პროგრამა ბრძოლისა სოციალიზმიდან კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში გადასვლისათვის

იმ ახალმა, თეორიულმა პრობლემებმა, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა დააყენა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გაკეთებულ თავის საანგარიშო მოხსენებაში—უნდა შეასრულონ და შეასრულებენ კოლოსალური როლი მილიონობით ჩვენი ადამიანების, პირველ რიგში კი ასიათასობით სამეურნეო მუშაკების აღზრდის საქმეში.

სახელმწიფოს შესახებ საკითხს, რომელიც თეორიულად გაშალა ამხანაგმა სტალინმა ამ ყრილობაზე, განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დებულება უკლასო სოციალისტური საზოგადოების შესახებ ბევრმა ისე აითვისა, რომ ამჟამად აღარავითარი საშიშროება არ არსებობს და, მაშასადამე, თითქოს საკითხი სიფხიზლის შესახებ აღარ წარმოადგენდეს მწვავე საკითხს. ამხ. კიროვის ავაზაკური მკვლელობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ წერილის შემდეგაც კი, რომელიც გაფრთხილებას იძლეოდა სიფხიზლის დაკარგვის წინააღმდეგ, სიფხიზლის დაკარგვა გრძელდებოდა. უეჭველია, ამის ფესვები სძევს იმ ახალი ეტაპის გაუგებლობაში, რომელსაც სოციალიზმის ქვეყანა განიცდის, იმ საშიშროების გაუგებლობაში, რომელიც გამომდინარეობს სოციალიზმის ქვეყნისათვის კაპიტალისტური გარემოცვიდან, და ამ საშიშროებასთან ბრძოლაში სახელმწიფოს როლის გაუგებლობაში.

კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში პროლეტარული სახელმწიფოს შესახებ საკითხის დაყენებით, როდესაც სოციალიზმმა გაიმარჯვა ერთ ქვეყანაში, ამხანაგ სტალინს ახალ საფეხურზე აჰყავს თეორია პროლეტარული სახელმწიფოს შესახებ.

ახლა ნათელია, რომ ამჟამად, როდესაც ჩვენ ფეხი შევდგით სოციალიზმიდან კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში გადასვლის ხანაში, ჩვენ გვესაჭიროება ძლიერი საბჭოთა სახელმწიფო, გვესაჭიროება ძლიერი, სახელოვანი საბჭოთა დაზვერვა, გვესაჭიროება ძლიერი სახელოვანი წითელი არმია, ჩვენთვის საჭიროა განვაგრძოთ ჩვენი საბჭოთა კავშირის სამეურნეო, პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცება. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშმა დაგვანახვა, რომ ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცეში — იგი საიმედო სტალინურ ხელში იმყოფება **(მქუხარე ტაში)**.

ამხანაგებო! თუ პარტიის XVI და XVII ყრილობებს შუა განვლილ პერიოდში კაპიტალისტური კლასების ნაშთებთან ბრძოლაში ჩვენ ავაშენეთ ძირითადად სოციალიზმი, პარტიის XVII და XVIII ყრილობებს შუა განვლილ პერიოდში, ჩვენ, გავამრავლეთ რა სოციალიზმის გამარჯვებანი ეკონომიკისა და კულტურის დარგში, გავადიდეთ სოციალიზმის პოლიტიკური ძლიერება, ხოლო რაც მთავარია — შევინახეთ და დავიცავით იგი კაპიტალისტური მტრის ხელყოფისაგან, რომელიც მოქმედებდა თავისი აგენტების, ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშებისა და დივერსანტების მეშვეობით.

XVII და XVIII ყრილობებს შუა განვლილ საანგარიშო პერიოდში, ჩვენმა პარტიამ, გაანადგურა რა ჯაშუშები და დივერსანტები, ახალ პირობებში პირველი გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა კაპიტალისტურ გარემოცვას.

თუ პარტიის XVII ყრილობას ეწოდა გამარჯვებულთა ყრილობა, XVIII ყრილობა არის ორკეც გამარჯვებულთა ყრილობა.

პარტია ყრილობაზე მოვიდა მრავალმილიონიანი ხალხის მიერ მისი პოლიტიკის დიადი შემოწმების შემდეგ. ამ შემოწმებას წარმოადგენდა უმაღლესი საბჭოს არჩევნები ახალი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. სოციალიზმის გამარჯვებამ თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს სტალინურ კონსტიტუციაში და ჩვენი ხალხის დარაზმულობაში არჩევნებზე.

უმაღლესი საბჭოს არჩევნებით მუშათა კლასი და ყველა მშრომელი თითქო მონაწილეობდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო გამართულ კამათში. დიადი საბჭოთა კავშირის ხალხები ისე დიდად აფასებენ და უყვართ თავისი პარტია, როგორც არასოდეს, პარტია, რომელმაც, დაიწყო რა თავისი მოღვაწეობა ლენინისა და სტალინის მიერ დარაზმული, მამაცი რევოლუციონერების პატარა არალეგალური ჯგუფით, აამოძრავა ხალხის დიადი, მძლავრი ძალა, რათა მოეხდინა სასწაულები და აეშენებინა ახალი კომუნისტური ცხოვრება.

ამ ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ახალი პროგრამა ბრძოლისა მთელი ისტორიული ეპოქის—10-15 წლისათვის. ჭეშმარიტად ეს დიადი პროგრამაა დიადი ბოლშევიკური საქმეებისა.

ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობა, მოისმინა რა ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, უეჭველად მოიწონებს თავისი ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობას. ამხანაგ სტალინის მოხსენება გახდება დიადი პროგრამა ჩვენი სახელოვანი პარტიის დიად საქმეთა სოციალიზმიდან კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში გადასვლის ახალი ისტორიული პერიოდისათვის. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში)**.

ჩვენი ამოცანაა შევასრულოთ ეს პროგრამა.

ლენინ-სტალინის პარტია, რომელმაც განვლო მშრომელთა მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლის დიადი გზა, პარტია, რომელმაც გაანადგურა გამცემლები მუშათა კლასის შიგნით, რომელმაც დაამხო კაპიტალისტების ცარისტული წესწყობილება, პარტია, რომელმაც 1917 წლის ოქტომბერში დედამიწის ერთმეექვსედ ნაწილზე აღმართა სოციალიზმის წითელი დროშა, პარტია, რომელმაც დიადი გამარჯვებანი მოიპოვა სამოქალაქო ომის ფრონტებზე გენერლებთან და 14 სახელმწიფოს ინტერვენტებთან ბრძოლაში, პარტია, რომელმაც მოსპო კულაკობა, გაანადგურა კაპიტალისტური ელემენტები, ამოაგდო ჯაშუშებისა და დივერსანტების ბუდეები, პარტია, რომელმაც ააშენა სოციალიზმი, — ასეთი პარტია სახელოვნად შეასრულებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის შენების დიად სამუშაოთა ამ ახალ დიად პროგრამას. **(მქუხარე ტაში)**. ბოლშევიკებმა დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ განახორციელონ პრაქტიკულად კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო დიადი საქმეები. მთელი მსოფლიო ერთხელ კიდევ დარწმუნდება ამაში, როდესაც შემდგომ ყრილობაზე ჩვენ შევაჯამებთ პარტიის XVIII ყრილობაზე მიღებული დიადი სტალინური პროგრამის განხორციელების შედეგებს: ამის თავდებია ძლიერი სტალინური ხელმძღვანელობა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგი სტალინისა **(ყველანი ფეხზე სდგებიან, მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც გადადის ოვაციაში ამხანაგ სტალინის პატივსაცემად)**.

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის XVIII ყრილობას!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ძლიერ პარტიას ბოლშევიკებისას, — კომუნისტური საზოგადოების შენების გადამწყვეტ ძალას!

გაუმარჯოს კომუნიზმისათვის ბრძოლის პროგრამის შემოქმედს და მისი განხორციელების გენიალურ ხელმძღვანელს, ჩვენს მშობლიურ, საყვარელ, ამხანაგ სტალინს! **(ყველანი ფეხზე სდგებიან, მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც გადადის ოვაციაში ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. შეძახილები: „ურა, დიდ სტალინს, ვაშა“!)**.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 70 (5470).

ინგლისის პრესა აღნიშნავს ინგლისის წინადადების ჩაშლას

ლონდონი, 26 მარტი (საკდესი). დღეს ინგლისის საკვირაო კონსერვატიული პრესა უკვე არ მალავს იმას, რომ „ფაქტიურად (როგორც გაზეთ „ობსერვერის“ პოლიტიკურმა მიმომხილველმა გამოსთქვა) ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციის პროექტი მოკვდა“. ერთი კვირის წინათ, 19 მარტს, პასუხად საბჭოთა წინადადებისა—მოეწვიათ ექვსი სახელმწიფოს თათბირი—საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰალიფაქსმა ლონდონში სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს მაისკის შესთავაზა ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციის პროექტი და თავისი წინადადების განსამტკიცებლად განუცხადა: კონფერენციის მოწვევა გაჭიანურდება, ახლანდელ მომენტში კი საჭიროა ზომების დაუყოვნებლივ მიღება. გუშინ კი,—სწერს გაზეთ „ობსერვერის“ მიმომხილველი,—მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ „დაუყოვნებლივ და სასწრაფო მოქმედების“ პროექტის განხილვა კიდევ 10 დღით გადაიდება.

როგორც გამოირკვა, იმ საუბრის შედეგად, რომელიც ჩემბერლენს და ჰალიფაქსს ჰქონდათ ბონესთან ლონდონში, საფრანგეთის მთავრობა „მაინც და მაინც არა სწუხს იმის გამო, რომ ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციის პროექტი ჩაიშალა“. საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს, რომ საჭიროა მხოლოდ ინგლის-საფრანგეთის კავშირის განმტკიცება.

დღეს „სენდეი ექსპრესში“ ლოიდ ჯორჯმა მოათავსა სტატია, რომელშიაც მოუწოდებს თანამშრომლობისაკენ სსრ კავშირთან — „ამ უზარმაზარ, უმდიდრეს ქვეყანასთან, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე უფრო მძლავრი არმია და საუკეთესო ავიაცია მოეპოვება“.

მუსოლინის გამოსვლა

პარიზი, 26 მარტი (საკდესი). დღეს რომში შესდგა მუსოლინის საჯარო გამოსვლა, რომლის დროსაც მან ჩამოაყალიბა იტალიის ფაშიზმის ტერიტორიული პრეტენზიები საფრანგეთისადმი. იტალიის კოლონიური მოთხოვნები,—განაცხადა მუსოლინიმ, — დიდი ხანია ნათლად იყო გარკვეული. „ეს არის ტუნისი, ჯიბუტი, სუეცის არხი“. საფრანგეთის მთავრობას, — განაცხადა მუსოლინიმ, — შეუძლია უარი სთქვას ამ პრობლემების განხილვაზე, მაგრამ მაშინ მან თავისთავს უნდა უსაყვედუროს, „თუ ის უფსკრული, რომელიც ამჟამად ჰყოფს ორ ამ ქვეყანას, იმდენად გაღრმავდება, რომ ძნელი ან სრულიად შეუძლებელი გახდება მისი ამოვსება“.

შემდეგ მუსოლინიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა ძალთა თანაფარდობაა, და სწორედ ეს წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას“.

მუსოლინიმ კვლავ დაადასტურა, რომ ხმელთაშუა ზღვა, ადრიატიკის ზღვის ჩათვლით, წარმოადგენს „იტალიის სასიცოცხლო სივრცეს, რომელშიაც იტალიის ინტერესები სჭარბობს“. დასასრულ, მუსოლინიმ ერთხელ კიდევ აღნიშნა ხაზგასმით, რომ საჭიროა „უკიდურეს ზომამდე“ შეიარაღება.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის ჯარის კონცენტრაცია სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე

ლონდონი, 27 მარტი (საკდესი). ინგლისის გაზეთების ყველა ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება, რომ შვეიცარიის ხელისუფალნი მეტად შეშფოთებული არიან გერმანიის ჯარის კონცენტრაციით შვეიცარიის საზღვრების ირგვლივ ვიურტემბერგის სამხრეთ ბავარიისა და ფორარლბერგის (ავსტრია) რაიონებში. შვეიცარიის საზღვრის მახლობლად მდებარე ქალაქები კონსტანცი, ფელდკირხი და სხვები გაჭედილია გერმანიის ჯარით. დამატებითი ცნობებით გამორკვეულია, რომ აქ თავს უყრიან ჯარს, რომელიც ლიბიაში (იტალიის კოლონია აფრიკაში) უნდა გაიგზავნოს. ბრენერის უღელტეხილზე ამჟამად განუწყვეტლივ მიდიან მატარებლები, რომლებითაც იტალიაში ჯარი და სამხედრო საჭურველი იგზავნება.

შვეიცარიის მთავრობის აზრით, სამხრეთ გერმანიაში ამჟამად თავმოყრილია 200-000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი.

შვეიცარიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააორკეცეს საზღვრების მცველი რაზმი.

ინგლისის პრესა ესპანეთ მეამბოხეთა შეტევის შესახებ

ლონდონი, 27 მარტი (საკდესი). გუშინ საღამოს მადრიდიდან რადიოთი გამოცემული ცნობა ადასტურებს, რომ ანდალუზიის ფრონტზე მეამბოხეებმა შეტევა დაიწყეს და ზოგიერთი პოზიცია დაიკავეს.

ყველა გაზეთი იუწყება აგრეთვე ფრანკოსა და მოღალატე გენერალთა მადრიდის ხუნტას შორის მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ხუნტამ სამარცხვინო პირობები მიიღო რესპუბლიკელთა მთელი ავიაციის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ, რაც პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო საერთო კაპიტულაციისაკენ, ფრანკომ უკანასკნელ მომენტში მოლაპარაკება შესწყვიტა და მოითხოვა მისთვის მთელი ცენტრალური ზონის დაუყოვნებლივ ჩაბარება ყოველგვარი პირობის გარეშე.

ფრანკო შეუერთდა „ანტიკომინტერნულ“ პაქტს

ლონდონი, 26 მარტი (საკდესი). გაზეთ „სენდეი ტაიმსის“ დიპლომატიური მიმომხილველი იუწყება, რომ ლონდონის დიპლომატიური წრეების ცნობებით, ბურგოსში შედგენილია ოქმი, რომლის მიხედვითაც ფრანკო უერთდება „ანტიკომინტერნულ“ პაქტს. ამ ცნობების თანახმად,—დასძენს კორესპონდენტი,—ოქმი ხელმოწერილი იქნება უახლოესი ათი დღის განმავლობაში.

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი

საუბარი ყრილობის დელეგატებთან

რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობისათვის

უდიდესი ბედნიერება მხვდა წილად.

მე გმირ ბოლშევიკთა პარტიის XVIII ყრილობაზე ვიყავი, მოვუსმინე ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემომქმედსა და სულისჩამდგმელს, თანამედროვე ეპოქის უდიდეს ადამიანს, მშრომელი კაცობრიობის საყვარელ ბელადს, მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს, მოვისმინე მისი ბრძნული სიტყვები, მისი გენიოსური ანალიზი ჩვენი საშინაო და საგარეო მდგომარეობისა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოხსენებები ჩვენი სამეურნეო და პარტიული ცხოვრების შემდგომ გაძლიერება-განვითარებაზე, და ახალი ენტუზიაზმით ავინთე, თითქოს გავჭაბუკდი, ახალი ძალა და ენერგია შემემატა.

ეს ისტორიული ყრილობა იყო მძლავრი დემონსტრაცია დიდი საბჭოეთის მრავალერიანი ხალხების უდიდესი სიყვარულისა, ერთგულებისა და თავდადებისა თავისი ღვიძლი ბოლშევიკური პარტიისა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. ეს იყო დემონსტრაცია იმისა, რომ პარტია მონოლიტურად შემჭიდროებულია სტალინური ცენტრალური კომიტეტის, დიდი სტალინის გარშემო ისე, როგორც არასოდეს. საზიზღარი მტრების ტროცკისტ-ბუხარინელი ნაძირალების ძირგამომთხრელ მუშაობას ვერ შეურყევია და არც შეეძლო შეერყია ეს სიმტკიცე. მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ, ყველა მათი ზრახვები დამსხვრეულია პარტიის მონოლიტურ სიმტკიცეზე.

ეს მკაფიოდ სჩანდა ყრილობის მთელი მუშაობის მანძილზე და ამან ყრილობის ყველა მონაწილეს, მომავლის იმედი შთაგვინერგა, დაგვრაზმა, აღგვანთო უფრო მეტი თავდადებისა და წარმატებებისათვის. გაგვახარა და ძალა შეგვმატა და იმედი შთაგვინერგა განსაკუთრებით იმან, რომ საყვარელი მამა და მასწავლებელი, ჩვენი ბრძენი ბელადი ვიხილეთ მისთვის ჩვეული ფოლადისებური ენერგიით აღსავსე, მხნედ და ჯანსაღად. ამ სიხარულს კრემლის დიდ დარბაზში თავშეყრილი ბოლშევიკური პარტიის საუკეთესო წარმომადგენლების ათასიანი არმია გამოხატავდა დაუცხრომელ ტაშისცემასა და აღტაცებულ მისალმებებში.

XVIII ყრილობა განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო რკინიგზელებისათვის. თუ წინათ ყრილობებზე და პარტიისა და მთავრობის წევრებთან შეხვედრების დროს ჩვენ მხოლოდ საყვედურებს ვისმენდით, ეს ყრილობა პირველი იყო, სადაც რკინიგზელები შეგვაქეს და ჩვენმა საყვარელმა რკინის სახკომმა, ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა მადლობა გვითხრა იმ წარმატებებისათვის, რომლებსაც რკინიგზელებმა უკანასკნელი ხუთწლედის განმავლობაში მივაღწიეთ. ტრანსპორტი და რკინიგზელი — ეს სიტყვები დღეს ამაყად გაისმის.

ტრანსპორტის შემდგომი განვითარების გზები, დასახული ბელადისა, ამხ. ვ. მ. მოლოტოვისა და ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მიერ, მოითხოვს ჩვენგან, რკინიგზელებისაგან, ძალთა კიდევ უფრო მეტ მობილიზაციას მიღწეულის შენარჩუნება-განმტკიცებისა და უკეთესი წარმატებების მოპოვებისათვის.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს, სადაც მე მიხდება მუშაობა, ცოტა მიღწევები როდი მოეპოვება საორთქლმავლო პარკის უკეთ გამოყენების საქმეში. ჩვენ ბრწყინვალე მიღწევები მოვიპოვეთ მძიმეწონიანი მატარებლების ტარებაში, დღეს ბევრი მეორთქლმავლე ატარებს 2500—2800-ტონიან მატარებელს გზის რთულ პროფილზე მიმწოლი ორთქლმავლის დაუხმარებლად. ეს მიღწევა ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ და ვამრავლოთ.

ყრილობის მიერ მოცემულ შეფასებას და საყვარელი სახკომის მადლობას რკინიგზელები გაამართლებენ.

ნ. გელაძე

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი, ორდენოსანი.

ახალი ენერგიით შევუდგები მუშაობას

არასოდეს არ წაიშლება ჩემ გონებაში 1939 წლის მარტის დღეები. გამოუთქმელი აღფრთოვანებისა და სიამაყის გრძნობით ვიჯექი კრემლის დიდ სასახლეში და ვისმენდი ხალხთა დიდი ბელადის რწმენით სავსე, უბრალო და ბრძნულ სიტყვებს. მე ვგრძნობდი, რომ წილად მხვდა უდიდესი პატივი, უდიდესი ბედნიერება — მონაწილეობა მიმელო ლენინ-სტალინის დიადი პარტიის XVIII ყრილობის მუშაობაში, რომელმაც დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ისტორიული გზა. ამ წუთებში მე ვგრძნობდი, რომ ჩვენთან, ყრილობის დელეგატებთან ერთად, დიდ ბელადს უსმენდა 170-მილიონიანი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს ყველა მშრომელი ადამიანი.

ყრილობის მუშაობის პერიოდში მოვისმინე დიდი სტალინის თანამებრძოლთა შესანიშნავი სიტყვები. ვნახე უდიდესი საკითხების ბოლშევიკური განხილვა და გადაწყვეტა, ვიგრძენი, თუ რა მონოლიტური და რკინისებურია ჩვენი პარტია, რომელმაც იცის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს ხალხი ძლევამოსილი გზით კომუნიზმისაკენ.

ახლა, როდესაც ვუბრუნდები ჩემ სამუშაოს, ვგრძნობ უდიდეს ენერგიას. კომუნიზმის განხორციელების საქმე ჩემთვის უფრო ახლობელი და ნათელი გახდა. მე შემიძლია ვიმუშაო დაუღალავად, რადგან ვიცი, რომ დიდი სტალინის იდეები, რომელნიც შრომითი გმირობისათვის აღანთებენ მილიონობით ადამიანების გულს, ახალ ბუმბერაზულ გამარჯვებებს მოგვიტანენ.

ყრილობაზე ვისწავლე, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ ბოლშევიკური ბრძოლა ქვეყნისათვის მეტი პროდუქციის მისაცემად. მე შევეცდები რომ ჭიათურის მაღაროებში ფართოდ დავნერგო დონბასის მაღაროელთა მდიდარი გამოცდილება, მივაღწიოთ იმას, რომ ახალი ტექნიკა მაღაროებში ფართოდ იქნას გამოყენებული, რომ თვითეულმა საბურღავმა მანქანამ მოგვცეს იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც მას შეუძლია. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ მუშაობის ციკლური სისტემის დანერგვას, შრომის სწორ ორგანიზაციას მაღაროში.

XVIII ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებანი თვითეული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის საბრძოლო ამოცანად აყენებს შრომის ისეთი ნაყოფიერების შექმნას, რომელიც მიუღწეველია კაპიტალიზმისათვის. ჭიათურის მაღაროელები ღირსეულად გადასჭრიან ამ ამოცანას. ამის თავდებია სტახანოვური მოძრაობის მძლავრი აღმავლობა.

სტალინურ ლოზუნგს—უახლოეს 10-15 წლის განმავლობაში გავუსწროთ ეკონომიურად მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, — ჩვენ მტკიცედ და ურყევად განვახორციელებთ. ბოლშევიკებისათვის არ არსებობს აუღებელი ციხე-სიმაგრე, იმიტომ რომ ჩვენთან არის მთელი საბჭოთა ხალხი და წინ მიგვიძღვის დიდი სტალინი.

ვ. სამხარაძე

ჭიათურის კაგანოვიჩის სახელობის ქარხანა - მაღაროს დირექტორი, ორდენოსანი.

უმაღლესი პარტიული სკოლა

ვერავინ დაივიწყებს მიმდინარე წლის 10 მარტს — ეს უდიდესი და უბედნიერესი თარიღია მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის ისტორიაში. ამ დღეს მუშაობას შეუდგა ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის XVIII ისტორიული ყრილობა. ამ დღეს კრემლის დიდ დარბაზში, ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ჩვენ მოვისმინეთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის სიღრმითა და სიბრძნით უბადლო მოხსენება.

დიდმა ბელადმა თავის ბრწყინვალე მოხსენებაში გენიალური შორსმჭვრეტელობით ანალიზი გაუკეთა პარტიის მიერ ჩატარებულ მუშაობასა და მძლავრი პროჟექტორივით გაანათა ჩვენი შემდგომი გზა კომუნიზმისაკენ. ჩვენს ცხოვრებაში ბევრი ძვირფასი და ბედნიერი მომენტი განმიცდია, მაგრამ ის, რაც განვიცადე XVIII ყრილობაზე, რაც განვიცადე მშობლიური სტალინის ნახვით, ჩემი მეხსიერებიდან არასდროს არ წაიშლება, დარჩება, როგორც უძვირფასესი შთაბეჭდილება, დარჩება როგორც კომუნიზმის მშენებლობისათვის დაუშრეტელი ენერგიის წყარო.

ორი სტალინური ხუთწლედის შედეგად ჩვენი ქვეყანა მსხვილი ინდუსტრიის, განვითარებული სოფლის მეურნეობისა და თავდაცვის ახალი ტექნიკით შეიარაღებულ ქვეყნად გადაიქცა — ეს ნათლად ასახა ამხ. მოლოტოვმა თავის შესანიშნავ მოხსენებაში. მან აგრეთვე კონკრეტულად გადაშალა სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა მესამე სტალინურ ხუთწლედში. მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხი, პარტიის XVIII ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, ბელადის მოხსენებით აღფრთოვანებული, წარმატებით იბრძოლებს ამ დიადი ამოცანების განხორციელებისათვის.

უაღრესად დიდი მნიშვნელობის მითითებები მივიღეთ ჩვენ ამხ. ჟდანოვის მოხსენებიდან. ეს მოხსენება ჩვენს პარტიას აიარაღებს მძლავრი ორგანიზაციული იარაღით, პარტიულ მუშაკებს კიდევ უფრო მჭიდროდ გვრაზმავს ხალხის საზიზღარი მტრების ნაშთების საბოლოოდ განადგურებისა და კომუნიზმის მშენებლობის განხორციელებისათვის.

ყრილობაზე მე გავიარე უმაღლესი პარტიული სკოლა, ვბრუნდები რა გათვითცნობიერებული და შეიარაღებული პარტიული მუშაობის იმ უდიდესი გამოცდილებით, რომელიც მომცა ყრილობამ, დაუღალავად ვიმუშავებ ბელადის მითითებათა განხორციელებისათვის, ბოლშევიკური კადრების აღზრდისათვის.

ქუთაისის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, შემჭიდროვებულნი პარტიისა და საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ყრილობის პატივსაცემად აღებული ვალდებულებები, მთელი სერიოზულობით იბრძოლებენ მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის, იბრძოლებენ იმისათვის, რომ პარტიაში მიიღონ კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ადამიანები, შეაიარაღონ პარტიული კადრები, მშრომელი ინტელიგენცია მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრებით, საუკეთესოდ ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, მიაღწიონ მაღალ სტალინურ მოსავლიანობას.

XVIII პარტყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს ჩვენ ბოლშევიკურად განვახორციელებთ, მთელს ჩვენს ძალასა და ენერგიას მოვახმართ ჩვენი დიადი ქვეყნის კეთილდღეობას, მისი თავდაცვის შემდგომ განმტკიცებას და გავამართლებთ პარტიისა და დიდი სტალინის ნდობას.

ზ. ნარსია

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

წარუშლელი შთაბეჭდილება

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებთან ერთად მეც დიდი აღტაცებით მოვისმინე საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გენიალური მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე. ამხანაგ სტალინის ბრძნულმა მოხსენებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მას აღტაცებაში მოჰყავდა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ყველა დელეგატი.

ამხანაგ სტალინის მოხსენება ჩვენთვის წარმოადგენს დიად სახელმძღვანელოს და პროგრამას შემდგომ მუშაობაში. ეს გენიალური მოხსენება მე, როგორც მაღაროს მუშას, პარტიისა და მთავრობის ნდობითა და მზრუნველობით მოსილს, მავალებს კიდევ უფრო გავაძლიერო ჩემი ბრიგადის ბრძოლა ნახშირის ამოღებისათვის და ყოველდღიურად, ყოველსაათობით ახალ-ახალი ბრწყინვალე გამარჯვებები მოვიპოვო.

1939 წლის 6 თვის გეგმა ორნახევარ თვეში შევასრულე, ახლა კი, შეიარაღებული ვარ რა საყვარელი ბელადის ბრძნული მოხსენებით, ახალი ენტუზიაზმით ანთებული შევუდგები ჩვენს მაღაროში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას და ახალი წარმატებების მიღწევას.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი და დიდი სტალინის ბრძნული მოხსენება არაჩვეულებრივ გარდატეხას მოახდენს ჩვენი მაღაროების სტახანოველებში, რომელთა შორის ერთერთი მოწინავე მეც ვიქნები.

დიდი სტალინის ბრძნული მითითებით შეიარაღებული, თავდადებულად ვიმუშავებ იმისათვის, რომ გავადიდო ციკლების რაოდენობა — ფენების მანქანით ნგრევა და ნახშირის თავის დროზე გატანა.

შ. ფურცხვანიძე

ტყიბულის სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველი ბრიგადირი.

გავამართლებთ პარტიისა და დიდი სტალინის ნდობას

საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობაზე მე ამირჩიეს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დელეგატად. არასოდეს არ დამავიწყდება ის ძვირფასი წუთი, როდესაც პირველად ჩემს ცხოვრებაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ვნახე ხალხთა საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი. კალმით აუწერელია ის სიხარული, რომელიც განვიცადე დიდი სტალინის ნახვით. ბედნიერება მქონდა მომესმინა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის დიდი სტალინის ბრძნული სიტყვები. ამხანაგ სტალინის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი მოქმედების საბრძოლო პროგრამაა და გვაფრთოვანებს ახალ-ახალი გამარჯვებათა მოპოვებისათვის.

სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ბრწყინვალე მაჩვენებლებით შეხვდა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას. დიდად გავიხარე, როცა ყრილობაზე ყოფნისას მივიღე კოლმეურნეთა დეპეშა იმის შესახებ, რომ მათ სასახელოდ შეუსრულებიათ წინასაყრილობო შეჯიბრების დროს ნაკისრი ვალდებულებანი. ამხანაგები მწერდნენ, ვსწავლობთ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოხსენებას და აგრეთვე ვაწყობთ XVIII პარტყრილობის ყველა მასალის შესწავლას.

მესამე ხუთწლიანი გეგმა ჩვენს წინაშე სახავს გრანდიოზულ ამოცანებს. ყრილობისათვის საუკეთესო პასუხი იქნება საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობის შემდგომი ზრდა. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ურყევად განვახორციელოთ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ დისციპლინა, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობაში და ისეთ მოსავალს მივაღწიოთ, რომელიც ნამდვილად ღირსი იქნება მესამე სტალინური ხუთწლედისა. სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, განვაგრძობთ რა სოციალისტურ შეჯიბრებას, — მოწინავეთა, სტახანოველთა გამოცდილებას ყველა კოლმეურნის საკუთრებად გადავაქცევთ, სანიმუშოდ დავაყენებთ შრომის ორგანიზაციას კოლმეურნეობაში.

ჩვენი ვალდებულებანი ასეთია: წელს ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 4.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, საგაზაფხულო თესვა დავამთავროთ 1 მაისისათვის და მთელი მუშაობა ისე წარვმართოთ, რომ წელს კოლმეურნეს შრომადღეზე ხვდეს 15-20 მანეთი ნაცვლად გასული წლის 11 მანეთისა.

ყველა ღონეს ვიხმარ იმისათვის, რომ გავამართლო პარტიის მაღალი ნდობა და ჩემი საქმიანობით დავეხმარო პარტიას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

გ. ჯგუბურია

გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

შავი მეტალურგიის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მეტალურგიული მრეწველობის ცალკეულ ქარხნებში, მაღაროებში, საამქროებსა და აგრეგატებში გამოჩენილი სტახანოვური მუშაობის ნიმუშებისათვის შავი მეტალურგიის მთელი რიგი მუშაკები დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 48 კაცი. მათ შორის არიან: გრიგოლ იოსების-ძე ანდღულაძე— ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი, სტეფანე პეტრეს-ძე არტიუხოვი — სამილე ინსტიტუტის ინჟინერ - გამომკვლევი, რომან ვასილის-ძე ბელანი — „ზაპოროჟსტალის" კომბინატის საბრძმედო საამქროს უფროსის ყოფილი მოადგილე, ამჟამად კუზნეცკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის დირექტორი, პლატონ სიმონის-ძე ბოკოველი — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს მნგრეველი, მიხეილ აკიმის-ძე ბოიკო—„ზაპოროჟსტალის" მეტალურგიული კომბინატის მეფოლადე, ნიკიტა კონსტანტინეს-ძე გორბულევი —კრივოი როგის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედო საამქროს ოსტატი, ოლღა ბორისის-ასული გოფმანი — ვოიკოვის სახელობის ქერჩის მეტალურგიული ქარხნის ტომასის საამქროს უფროსი, კონსტანტინე სტეფანეს-ძე გრუშევოი — ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ყოფილი მეფოლადე, ამჟამად უკრაინის კ. პ. (ბ) დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, სტეფანე ალექსანდრეს-ძე გრუშინი—მეტალურგიული ქარხნის „ელექტროსტალის" ფოლადის ჩამომსხმელი საამქროს მეფოლადე, პავლინ ნიკოლოზის-ძე გუბკინი — ზლატოუსტის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ივანოვი — მაგნიტოგორსკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ყოფილი მთავარი ინჟინერი, ამჟამად იმავე კომბინატის დირექტორი, გიორგი ივანეს-ძე ივანოვსკი — კრივოი როგის მეტალურგიული ქარხნის ყოფილი დირექტორი, ამჟამად მაკეევკის კიროვის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, გრიგოლ მარკელის-ძე ილინი — მეტალურგიული ქარხნის „სერპ ი მოლოტის" ღუმელის ყოფილი ოსტატი, ამჟამად ამავე ქარხნის დირექტორი, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული, პავლე ისაის-ძე კოგანი, ორჯონიკიძის ქარხნის ყოფილი დირექტორი, ამჟამად შავი მეტალურგიის სახალხო კომისრის მოადგილე, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული, ილია ივანეს-ძე კორობოვი— პეტროვსკის სახელობის ქარხნის დირექტორი, თედორე ალექსანდრეს-ძე მერკულოვი — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარი, ალექსი იაკობის-ძე სოროკოვი — კომინტერნის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული, იაკობ გრიგოლის-ძე ჩაიკოვსკი — კომინტერნის სახელობის ქარხნის ყოფილი მეფოლადე, ამჟამად ამავე ქარხნის ოსტატი, კონსტანტინე გრიგოლის-ძე ჩერკასოვი — მეტალურგიული ქარხნის „კრასნი ოქტიაბრის" ყოფილი მეფოლადე, ამჟამად საკ. კ. პ. (ბ) სტალინგრადის საოლქო კომიტეტის სამრეწველო განყოფილების გამგე, სიმონ ვასილის-ძე ჩესნოკოვი — მეტალურგიული ქარხნის „სერპ ი მოლოტის" მარტენის საამქროს ობერ-ოსტატი, არკადი ევსევის-ძე იაშპოლსკი — ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის დირექტორი და სხვ.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 111 კაცი. მათ შორის არიან: ალექსი ივანეს-ძე აქსენოვი—კუზნეცკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ყოფილი ინჟინერი, ამჟამად საკ. კ. პ. (ბ) კუზნეცკის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ვასილ მათეს-ძე ანოსოვი —სტალინის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, ალექსი მათეს-ძე ასტახოვი — ნიკოპოლის სამხრეთ სამილე ქარხნის მილშემდუღებელი საამქროს ყოფილი უფროსი, ამჟამად ამავე ქარხნის დირექტორი, ალექსანდრე მიხეილის-ძე ბანიხი — ორჯონიკიძის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედო საამქროს ინჟინერი, გერასიმე თედორეს-ძე ბებეშევი — ვოროშილოვის სახელობის ქარხნის ბრძმედის ოსტატი, სერგო მიხეილის-ძე ბოგატირევი — კრამატორსკის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, გიორგი ანტონის-ძე ბოგდანოვი—კრივოი როგის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, ივანე იაკობის-ძე ვასილიევი — კუზნეცკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მეფოლადე, გრიგოლ ვასილის-ძე ვეფხვაძე — ზესტაფონის მეტალურგიული ქარხნის მოლიბდენის საამქროს უფროსი, პეტრე არსენტის-ძე გმირია — ვოროშილოვის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, მიხეილ თედორეს-ძე გოლდობინი — კუზნეცკის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი, ფოლადის განუწყვეტელი ჩამსხმელი მანქანის გამომგონებელი, ანასტასია გრიგოლის-ასული გოლიცინა-სატკინის მეტალურგიული ქარხნის მგლინავი, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე დობროხოტოვი — პროფესორი, დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული ინსტიტუტის ფოლადის მეტალურგიის კათედრის გამგე, თედორე ალექსანდრეს-ძე დრუჟინინი—ჩუსოვკის მეტალურგიული ქარხნის ელექტროღუმელის მეფოლადე, ელისეი ფილიპეს-ძე დუბოვოი — მეტალურგიული ქარხნის „აზოვსტალის" საბრძმედო საამქროს მექურე, ივანე გრიგოლის-ძე კორობოვი — კიროვის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედო საამქროს ობერ-ოსტატი, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული, პავლე ივანეს-ძე კორობოვი — მაგნიტოგორსკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ყოფილი დირექტორი, ამჟამად შავი მეტალურგიის სახალხო კომისრის მოადგილე, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული, მაქსიმ ვლასის-ძე ლუგოვცოვი — ფოლადის ინსტიტუტის საბრძმედე ინჟინერი, ანატოლი ნიკოლოზის-ძე პოხვისნევი — დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული ინსტიტუტის თუჯის მეტალურგიის კათედრის გამგე, ალექსანდრე გრიგოლის-ძე შერემეტიევი — „გლავსპეცსტალის" უფროსი და სხვ.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 133 კაცი. მათ შორის არიან: მიხეილ ანდრიას-ძე აკულშინი — ფრუნზეს სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედო საამქროს მექურე, გრიგოლ ივანეს-ძე ბატიშჩევი — ვისოკოგორსკის სამადნო სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე, ივანე ანდრიას-ძე ბოჩაროვი — კრივოი როგის რკინამადნის აუზის მუშა-გამომგონებელი, სიმონ ევგენის-ძე ვასილენკო—მთავარი ინჟინერი, ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის მოადგილე, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული, მარიამ ვასილის-ასული ვერბოვაია — მაგნიტოგორსკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის სახარატო საამქროს ცვლის ოსტატი, ვსევოლოდ სერგეის-ძე ვლადისლავლევი —სწრაფადმჭრელი ფოლადის ახალი მარკის გამომგონებელი, სერგო არსენტის-ძე ზალოგინი — „გლავმეტიზის" უფროსი, ნიკოლოზ ივანეს-ძე კორობოვი — ურალ-ალთასავლეთის „გუმპის" მთავარი ინჟინერი, ანა დანიელის-ასული ორლოვა — ორჯონიკიძის სახელობის ტრესტის „რუდას" შახტის მებიგე, მიხეილ პეტრეს-ძე რაევსკი—ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინსტიტუტის „სერპ ი მოლოტის" დოცენტი და სხვ.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოებულია 158 კაცი. მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" დაჯილდოებულია 218 კაცი. (საკდესი).

მ. პ. მუსორგსკი

(დაბადებიდან ასი წლისთავის გამო)

საბჭოთა საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ასი წლისთავს მოდესტ პეტრეს-ძე მუსორგსკის დაბადების დღიდან.

მუსიკის ამ კლასიკოსის შემოქმედება, რომელშიაც აღბეჭდილია დიადი სიმართლე ხალხის ცხოვრებაზე, მუდამ პოულობს ჩვენში მხურვალე გამოხმაურებასა და ღრმა გაგებას.

მ. პ. მუსორგსკი დაიბადა 1839 წლის 28 მარტს პსკოვის გუბერნიის სოფ. კარევში.

ბავშვობაშივე იჩინა თავი მუსორგსკის დიდმა მუსიკალურმა ნიჭმა. 1849 წელს ის ჩავიდა პეტერბურგში, სადაც პოდპრაპორშჩიკთა სკოლაში სწავლასთან ერთად დაიწყო სერიოზული მეცადინეობა მუსიკაში. სკოლის დამთავრების მომენტისათვის მუსორგსკის განუმტკიცდა რწმენა თავისი მუსიკალური მოწოდებისადმი, და მან მალე ხელი აიღო ოფიცრის კარიერაზე.

ამ დროს დაიწყო მუსორგსკის დაახლოვება ცნობილ რუს კომპოზიტორებთან—ბალაკირიოვთან, კიუისთან, ბოროდინთან, შემდეგში — რიმსკი-კორსაკოვთან, აგრეთვე ცნობილ კრიტიკოს ვ. სტასოვთან. ეს ჯგუფი მალე დაწინაურდა საზოგადოებრივ სარბიელზე „მძლავრი ჯგუფის" სახელწოდებით. მისი მოღვაწეობა მჭიდროდ დაკავშირებულია 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოებრივ იდეებთან. რეალიზმი, ღრმა იდეურობა, ხალხისადმი სამსახური — აი ის საყრდენები, რომლებსაც ეყრდნობოდა ამ ეპოქის მოწინავე ხელოვნება.

„მძლავრი ჯგუფის" მონაწილეებმა მ. ი. გლინკას კვალდაკვალ ფართოდ გამოიყენეს და განავითარეს ხალხური სიმღერები, ხორცი შეასხეს ნაციონალურ სიუჟეტებსა და სახეებს.

მუსორგსკი გაირჩეოდა საზოგადოებრივი ინტერესების განსაკუთრებული სიფართოვით, ის დაუახლოვდა ლიტერატურის, ფერწერის, მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებს. ამ ბედნიერი დაახლოვების შედეგი იყო მთელი რიგი მუსიკალური კომპოზიციები რუსეთის ცხოვრებიდან.

მუსორგსკის წერილებსა და მის მიერ გამოთქმულ აზრებში გამოსჭვივის მისი დემოკრატიული შეხედულებები საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ხელოვნების ამოცანებზე. იგი ამათრახებს თავადაზნაურული ბატონყმური საზოგადოების არარაობასა და შეზღუდულობას.

სამაგიეროდ ხალხთან, გლეხობის მასასთან ურთიერთობა მხატვრული შთაგონების წყაროს წარმოადგენდა მუსორგსკისათვის. მუსორგსკი ხალხის შესახებ სწერდა: „... მარტო ის არის მთლიანი, დიდი, შეუფერადებელი და აუჭრელებელი... რა დაუშრეტელი მადანია ყოველი ნამდვილის ასათვისებლად რუსი ხალხის ცხოვრება!" მუსორგსკისათვის ხელოვნება „ადამიანებთან საუბრის საშუალებაა, და არა მიზანი". „გაბედული, გულწრფელი სიტყვა ადამიანებისადმი" — ასე განსაზღვრავს მუსორგსკი ხელოვნების ამოცანებს.

60-იანი წლების შუახანებისათვის მუსორგსკი პოულობს მკაფიო, უაღრესად თავისებურ სტილს. იწყება კომპოზიტორის საუცხოო შემოქმედებითი სიმწიფე. იგი ჰქმნის მეტად ცოცხალ, გამბედავ, თავისი წყობით ნამდვილ ნაციონალურ ნაწარმოებებს. ეს მთელი რიგი სიმღერებია, რომელთაგან თვითეული დასრულებული დრამატიული სცენაა. მათში ასახულია ხალხური — უმთავრესად გლეხური ცხოვრების მრავალფეროვანი მხარეები.

ამავე ხანებში იფურჩქნება მუსორგსკის სატირული გენია. ისეთ სიმღერებში, როგორიცაა „სემინარისტი" (მუსორგსკის პირველი მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ცენზურამ აკრძალა) და „თხა", კომპოზიტორი დაუნდობლად დასცინის მისი თანამედროვე საზოგადოების სიმახინჯეებსა და ბნელ მხარეებს.

მუსორგსკის მიერ ამ პერიოდში შექმნილი სიმღერები განსაცვიფრებელი იყო შინაარსის სიახლითა და გაბედულობით, მკაფიო, ცოცხალი დახასიათებებით. ისინი მოწმობდნენ მუსორგსკის მძლავრ დრამატიულ გენიას, მის, როგორც საოპერო კომპოზიტორის, მოწოდებას.

1868 წლის ზაფხულში მუსორგსკიმ განახორციელა საინტერესო ცდა — გოგოლის კომედიის „ქორწინების" მუსიკალური განსახიერება. აქ მან მიაღწია უჩვეულო ბუნებრივობას ადამიანის მეტყველების ინტონაციების გადაცემაში, უმაღლეს დამახასიათებლობასა და კომიზმს მოქმედი პირების გამოხატვაში. მაგრამ „ქორწინებაზე" მუშაობა არ გასცილებია პირველ მოქმედებას. იმავე წლის შემოდგომაზე მუსორგსკი გაიტაცა უკვე ახალმა უდიდესმა სამუშაომ — იგი შეუდგა სახალხო-ისტორიული ოპერის „ბორის გოდუნოვის" შექმნას პუშკინის დრამის მიხედვით. ამ გენიალურ ოპერაში რეალისტურად, ცოცხლად არის ასახული ისტორიული ეპოქის—„შფოთიანი დროის" უმნიშვნელოვანესი მხარეები.

ხალხისადმი მხურვალე სიყვარული, თანაგრძნობა მისი ტანჯვისადმი, აღტაცება მისი ჯანსაღი ჰუმორით და დაუშრეტელი, დიადი ძალით — აი ის კეთილშობილი გრძნობები, რომლებითაც აღსავსეა „ბორის გოდუნოვის" შესანიშნავი ხალხური სცენები. ამ სცენებში კომპოზიტორმა მიაღწია მუსიკის სავსე და სრულყოფილ ერთიანობას სიტყვასთან, დრამატიულ მოქმედებასთან.

რუსეთის საზოგადოების მოწინავე ფენები მიესალმნენ „ბორის გოდუნოვს", როგორც ახალ მძლავრ სიტყვას, როგორც მთელ ეპოქას მუსიკალური თეატრის ისტორიაში. მტრულად შეხვდნენ მას „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" — მეფის მუსიკალური მოხელეები. ორჯერ დაწუნებული ოპერა მხოლოდ შემთხვევის მეოხებით დაიდგა 1874 წელს. მალე დაიწყო შეკვეცა, შემცირება და, ბოლოს, „კრამოლური" ოპერა მრავალი წლით მოიხსნა რეპერტუარიდან, მიუხედავად მისი უდიდესი წარმატებისა.

„ბორის გოდუნოვზე" მუშაობის წლები იყო ყველაზე ბედნიერი და ნაყოფიერი პერიოდი მუსორგსკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ამ დროს იგი ჰქმნის ისეთ გენიალურ ნაწარმოებებს, როგორიცაა „საბავშვო" სიმღერების ციკლი, სახეების სიახლითა და სიმდიდრით შესანიშნავი საფორტეპიანო „სურათები გამოფენიდან" და სხვ., მას მოფიქრებული აქვს აგრეთვე ახალი მონუმენტალური სამუშაო — ისტორიული ოპერა „ხოვანშჩინა".

„ხოვანშჩინა"—„ბორის გოდუნოვის" იდეებისა და სახეების გენიალური განგრძობაა. აქაც კომპოზიტორის ყურადღების ცენტრშია ხალხის გრძნობების, ხალხური მოძრაობის რელიეფური, მკაფიო გამოხატვა.

„ხოვანშჩინასთან" ერთად მუსორგსკი სწერდა ოპერა „სოროჩინსკაია იარმარკას" გოგოლის მოთხრობის მიხედვით.

მოუწყობელმა, მარტოდ ცხოვრებამ უმეგობრებოდ, უოჯახოდ დაასუსტა მუსორგსკის ორგანიზმი. კომპოზიტორი შეეცადა მიეტოვებინა მობეზრებული სამსახური დეპარტამენტში და იძულებული გახდა საარსებო სახსარი მოეპოვებინა აკომპანიატორობით — „კლავიაკორდებზე ჩხაკუნით", როგორც მწარე ჰუმორით ამბობდა თვით მუსორგსკი. 1881 წლის დამდეგს იგი ძლიერ გახდა ავად და მოთავსებულ იქნა სამხედრო ჰოსპიტალში. მკურნალობის უფლება რომ ჰქონოდა, მუსორგსკი ჰოსპიტალში ჩასწერეს როგორც ექიმ ბერტენსონის დაქირავებული „დენშჩიკი". ეს იყო უკანასკნელი დამცირება გენიალური კომპოზიტორისა მეფის რუსეთის მიერ. 1881 წლის 28 მარტს „ბორის გოდუნოვის" და „ხოვანშჩინის" ავტორი გარდაიცვალა.

ვ. სტასოვს — მუსორგსკის ერთგულ მეგობარს და მისი შემოქმედების მგზნებარე პროპაგანდისტს — ეკუთვნის შემდეგი მწარე, მაგრამ სწორი სიტყვები, რომლებიც მან დასწერა დიდი კომპოზიტორის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტატიაში: „ბიოგრაფია (მუსორგსკისა. — რედ.) მოკლე, სევდიანი და უსიხარულოა, როგორც თითქმის ყველა ჩვენი უნიჭიერესი ადამიანის ბიოგრაფია. გარდაიცვალა ადრე. ვერ მოასწრო ყოველივე იმის გაკეთება, რის გაკეთებაც, ალბათ, შეეძლო მისი ძალების, მისი ნიჭის პატრონს... იგი ჰქმნიდა დიდ, შესანიშნავ ნაწარმოებებს, რომლებითაც, უეჭველია, იამაყებს მომავალი რუსეთი. ჩვენს მუსიკალურ საქმეებში ძლიერნი პირნი მუდამ ყოველივე ღონეს ხმარობდნენ, რომ ჩაეხშოთ ეს ნაწარმოებნი, არ ენახებინათ მათთვის მზის სინათლე".

მუსორგსკის მუსიკა შემთხვევით როდი იყო ობიექტი მოხელეებისა და „თვით" მეფეების მხრივ დევნისა. ცნობილია, რომ ალექსანდრე III და ნიკოლოზ II საკუთარი ხელით ამოშლიდნენ ხოლმე ოპერა „ბორის გოდუნოვს" საიმპერატორო თეატრების სარეპერტუარო სიებიდან.

მუსორგსკი, მუსიკაში რუსული მხატვრული რეალიზმის უდიდესი წარმომადგენელი, მთელი თავისი შემოქმედებით ხალხს ემსახურებოდა. მის ნაწარმოებთა შინაარსი რუსი ხალხის თვით ცხოვრება და ისტორია იყო. მუსორგსკის მუსიკა აჟღერდა როგორც ადამიანის მართალი მეტყველება, რომელიც გადმოგვცემს ადამიანის სულის ურთულეს და უღრმეს მოძრაობებს.

მუსორგსკი ნამდვილად აღიარებულ იქნა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. მუსორგსკის მუსიკა, რომელსაც ჩვენში ასრულებენ თეატრების სცენებზე და საკონცერტო ესტრადებზე, მუდამ პოულობს მხურვალე გამოხმაურებასა და ღრმა გაგებას საბჭოთა მაყურებლებში. საბჭოთა ხალხს უყვარს მუსორგსკის გენიალური მემკვიდრეობა და თვალისჩინივით უვლის მას.

ა. შავერდიანი

რადიო დღეს

11—00—„თბილისის ახალი ამბები" (ქართულ და რუსულ ენებზე). 11—20—კონცერტი, სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები. 12—15—„უკანასკნელ ცნობათა" დილის გამოშვება (ქართულ ენაზე). 16—30—საკ. კ. პ. (ბ) წესდების გადაცემა ქართულ ენაზე. 17—45—„უკანასკნელ ცნობათა" საღამოს გამოშვება (ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე). 19—30—აგიტაციისა და პროპაგანდის სექტორის გადაცემა „დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ზოგიერთ მეთოდებზე". 20—00—ლიტერატურულ - მუსიკალური გადაცემა — „ხასანის გმირები". 21—00—კონცერტი. 22—00—კონცერტის ტრანსლაცია მოსკოვიდან. 23—40 — „უკანასკნელ ცნობათა" სპეციალური გამოშვება. 23—55—„უკანასკნელ ცნობათა" ღამის გამოშვება (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. 00—30—უკანასკნელ ცნობათა" ღამის გამოშვება (ტრანსლაცია მოსკოვიდან).

საქმის გასწორება

„კომუნისტის" გუშინდელ ნომერში პირველ გვერდზე მოთავსებულ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობაში მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „თანახმად წინასწარი ცნობებისა, რომლებიც მიღებულია სახალხო სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ, სსრ კავშირის არსებული მოსახლეობის რაოდენობა 170.126 ათას კაცს შეადგენს".

დღეს თეატრებში

ოპერის თეატრი — „ქეთო და კოტე" (ტალ. № 131).

რუსთაველის თეატრი — „არსენა" (წარმოდგენა 149).

მარჯანიშვილის თეატრი—„მათი ამბავი".

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

28 მარტს 26 კომუნარის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში აწყობს ამხ. **ზ. სიმონიშვილის** ლექციას თემაზე: რუსეთის პირველი რევოლუციის (1905-1907 წლ.) დამარცხების მიზეზები. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისათვის და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტების ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

დამწუხრებული მამა სტეფანე რუხაძე შვილებით: ერმალო, ნინა, ნაზიკო, გალინა, სიძე გიორგობიანი შვილებით იუწყებიან

ბაბილინე გოქსაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5 ს. პლეხანოვის, 81. კუკიის სასაფლაოზე. 1303

მეუღლე სტანისლავი, შვილები იდალია, ნიკოლოზი, ბორისი, რძლები: მერი, ირა, სიძე ვლადიმერ პოპე იუწყებიან

ნატალია ბუტკოვსკის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 29/III, 5 ს. ვაგონის, 7. 1300

მეუღლე ექიმი გიორგი მხეიძე, ძმა შალვა კვირიკაძე მეუღლით იუწყებიან, რომ 30 მარტს 12 ს. ვაკის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია ექიმ

დარეჯან კვირიკაძე-მხეიძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 1299

სახუნტის იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტები იუწყებიან ამავე კურსის სტუდენტ, ამხანაგ მერი ბაციკაძის დედის

ანასტასია ბაციკაძის

გარდაცვალებას. 1301

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ქამის ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 1725